საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კვირა, 25 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 166 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 166

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

მეუღლე სონია, შვილი აკაკი, ძმები: ამბაკო და გერმანე, დედა მართა, რძლები: სარა და მაგდანე, ბიძაშვილები: კოწია, ილიკო და ვლადიმერი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 18 ივლისს ტრაღიკულათ მოკლულ იქნა

### რაჟდენ ყიფიანი

მიცვალებულს გამოასვენებენ რკ. გზ. საავადმყოფოდან, კვირას, დილის 10 საათზე. დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. რკ. გზის საავადმყოფოში. (2405 3—3)

დღიდან გარდაცვალებისა სამი წლის შესრულების გამო, 25 ივლის დღით კვირას, ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ახალ ცხოვრებას უდროვოდ მოწყვეტილი ექიმი

### ანდრო მერაბის ძე კილასონიას

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი უბედური მამა მერაბი, ძმები ნიკოლოზი და ანტონი, რძალი ზინა კილასონიასი, ძმისწული პატარა შურა, და ელისაბედი ჩოგავაძისა და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებსა და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 11 საათზე. (2322 3—3)

ღრმათ დამწუხრებული ქრისტინე ყენიას ასული—ჩიგოგიძისა და შვილები მისი: ეკატერინე და საშა ლევონტის ძე ჩიგოგიძე (ქრისტინეს შვილი) გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს პირველის მეულის შვილის, ხოლო დანარჩენთა საყვარელ მამიდას შვილიშვილის

### ვენერას (ვერას) აფრასიონის ასულის ლომთათიძის

[illegible] (2427—1—1)

[illegible]

### ივლიტა პეტრეს ასულის ფერაძის

[illegible] (2429—1—1)

[illegible]

### ედიშერ ანტონის ძის წულაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. (2430—1—1)

[illegible]

### მირონ ალექსის ძე თოფურიშვილის და ივანე ალექსანდრეს ძე ზუბაძის

[illegible] გარდაცვალების გამო. (2438—1—1)

## ბორჯომის სამაზრო ერობის

### ორი ბეითალი და ორი ფერშალი

[illegible] ბორჯომის სამაზრო ერობის გამგ. (ნ. 3—3)

## შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობა

### წისქვილის ქვები

[illegible] (2398 5—2)

## ფრანგული ლიცეი თფილისში

[illegible] (2118—4—4)

## სამტრედიის ქალაქის გამგეობა

[illegible] (2433—1—1)

## სამტრედიის ქალაქის გამგეობა

იწვევს ქალაქ სამტრედიის სკოლებისათვის ინსტრუქტორს. პირობების გაგება გამგეობაში—სადაც უნდა იქნეს წარმოდგენილი ცენზის და მოღვაწეობის საბუთების ასლი. გამგეობა. (2433—1—1)

## მომარაგების სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ სადგურ ყაზბეგში და თერგის ოლქში მას ყავს სურსათის შესაძენათ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა არავის არა აქვს სამინისტროსაგან ასეთი მინდობილობანი.

გარდა ამისა არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ყუბანის და თერგის ოლქებში, საქართველოს საზღვრებიდან რაიმე საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, ტყავეულობა და სხვა საქონელი, გარდა თვით სამინისტროსი და მის ოფიციალურ ადგილობრივ წარმომადგენლებისა.—მომარაგების სამინისტრო. (ნ. 3—1)

## რუსეთის სატრანსპორტო, დამზღვევი და გემთა საზოგადოება

(საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის კონტრაგენტი)

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით ქ. ფოთში და ბათომში გახსნილია

### სატრანზიტო საწყობები.

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და თფილისში, ქალაქთა კავშირში. (2399—2—1)

ა/წ. 26 ივლისს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცხენების გამწესრიგებელ განყოფილების შენობაში (კახეთის ქ. № 34)

## საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება დაწუნებული ცხენები. (2425—1—1)

## მეორე ქართული კლუბი

პლეხანოვის პრ. № 129.

ორშაბათს 26 ივლისს, საღამოს შვიდ საათზე დანიშნულია

## მეორე ქართული კლუბის წევრთა საგანგებო კრება

დღიური წესრიგი: წევრთა და კანდიდატთა არჩევნები და სხვა საკითხები. (ნ. 1—1)

## განცხადება.

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა დაიწყო მოქმედება ა/წ. 24 ივლისიდან. ოპერაციები წარმოებს დილის 9 საათიდან შუადღის 1 საათამდე.

ბანკის საბჭომ და გამგეობამ ჯერჯერობით დაადგინა დაწესდეს შემდეგი

### სარგებელი:

I—ბანკი აძლევს

| | | |
|---|---|---|
| 1) | სახელდახელო ანგარიშში წლიურად | 2%-დე |
| 2) | უვადო ანაბარაში | 2½%-დე |
| 3) | ვადიან „ ერთ წლამდე 3% | 3%-დე |
| 4) | „ „ ერთი წლიდან მეტზე | 4%-დე |

II—ბანკი იღებს:

1) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა განაღდებაში ერთი თვით წლიურად 10%, 2) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა განაღდებაში ერთი თვიდან სამ თვემდე წლიურად 11%, 3) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა სპეციალ. ანგარიშში 11%, 4) საქონლის და საქონლის მიერ საბუთებით გაცემულ სესხში 11%, 5) საქონლის და საქონლის მიერ საბუთების სპეციალ. ანგარიშში წლიურად 12%, გარდა ამისა კომისიას სათამასუქო ოპერაციებში ყოველ თვეში ¼%, საქონლის და საქონლის მიერ საბუთებით ოპერაციებში ყოველ თვეში ½%, ინკაროს, საფასურთა და საბუთების შესანახი კომისია აიღებს ½% დანიშნული ფასისა, მაგრამ არა ნაკლებ 10 მანეთისა. დაზღვევისა და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები აიღებს იმდენს, რამდენიც ნამდვილად დახარჯულია. ბანკის მმართველი ი. ლორთქიფანიძე. (ნ. 1—1)

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხერხოვი**

იღებს საზებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## ადგილობრივი კომუნისტების უპასუხისმგებლობა

საბჭოთა რუსეთის მთავრობა ოფიციალურად სცნობს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, მაგრამ ცენტრს დაშორებული კომუნისტები ამ პრინციპს მუდამ ფეხქვეშ თელავენ. საბჭოთა რუსეთის მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ცარიელ ფიზიკურ ძალაზე დაყრდნობა და დაპყრობითი პოლიტიკის წარმოება ვერ მოიტანს მისთვის კარგს ნაყოფს, და იგი რამდენათმე ცდილობს მშვიდობიანი და მეზობლური განწყობილება ჩამოაგდოს იმ ქვეყნებთან, რომლებსაც არავითარი მტრული განზრახვები არა აქვთ საბჭოთა რუსეთის მიმართ. მაგრამ ცენტრს დაშორებული კომუნისტები ყურს არ უგდებენ მოსკოვის ამნაირ პოლიტიკურ ხაზს და თავისი პასუხისმგებლობით აწარმოებენ თავდასხმით და იმპერიალისტურ პოლიტიკას იმ ქვეყნების მიმართ, რომლების მხრითაც საბჭოთა რუსეთს არავითარი მტრული მოქმედება არ მოელის. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მოსკოვში ზავი შეჰკრა საქართველოსთან, აღერბეიჯანის ბატონ-პატრონათ გადაქცეული კომუნისტები კი სწორეთ ამ დროს შემოიჭრენ საქართველოს საზღვრებში და ომი დაუწყეს მას. საბჭოთა რუსეთის მთავრობა მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებს სომხეთის დელეგაციასთან რუსეთსა და სომხეთს შორის ხელშეკრულების დადების შესახებ. რამდენათაც ვიცით, ეს მოლაპარაკება ნორმალურად მიმდინარეობს. და სწორეთ ამ დროს აღერბეიჯანში მოკალათებული კომუნისტები სომხეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას აწარმოებენ ყარაბახზანგეზურის და ყაზახის მაზრის მხრით.

ამნაირად, კომუნისტური რუსეთის ცენტრი და მისი პერიფერიების პოლიტიკა სრულებით არ არის შეთანხმებული; პერიფერიის, ადგილობრივ მომქმედი კომუნისტები პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იმ ხაზს, რომელსაც მოსკოვი ადგია. იმ დროს, როდესაც მოსკოვთან ზავი გვაქვს შეკრული და კეთილმეზობლური განწყობილება გვაქვს ჩამოგდებული, ადგილობრივი კომუნისტების მოქმედება ისეთი ხასიათისაა, რომ ჩვენ მუდამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, მუდამ თვალი უნდა გვეჭიროს მათკენ, მუდამ იმის ფიქრში უნდა ვიყოთ, რომ მათ მოულოდნელათ ზავი არ დაარღვიონ.

ეს კიდევ ცოტაა. კომუნისტური სახელმწიფოებრივი დეზორგანიზაცია ისე შორს მიდის, რომ ყოველი ადგილობრივი ჯარის უფროსი თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებთანაც მოსკოვის და თვით „წითელი" აღერბეიჯანის მთავრობასაც ოფიციალურად ზავი აქვს ჩამოგდებული. მკითხველს ეხსომება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მოხსენება გენ. ლევანდოვსკისა, რომელსაც, მიუხედავათ საქართველოსა და აღერბეიჯანს შორის ზავის შეკრისა, საჭიროდ უცვნია „ერთი მედგარი შეტევით" ზაქათალის დაჭერა.

მაგრამ ადგილობრივი კომუნისტების ჯარის სარდლების უპასუხისმგებლობამ ყოველ ზომას გადააჭარბა სომხეთში. „წითელი" აღერბეიჯანის მთავრობა თითქოს განგებ, სომხეთის საზღვრებზე იმისთანა სარდლებს გზავნის, რომლებსაც არაფერი გაეგებათ არც გეოგრაფიისა, არც დიპლომატიისა, არც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის წესებისა. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამ დღეებში გამოქვეყნებული მიწერ-მოწერა განჯის რაიონის ჯარის უფროსს ველიკანოვსა და დილიჯან-კარაკლისის რაიონის ჯარის უფროსს სეპუხს შორის. ველიკანოვი მისულა სომხეთის საზღვრამდის, დაუნახავს, რომ ამა თუ იმ დაბა სოფლებში სომხეთის ჯარი დგას, მოუნდომებია ამ ადგილების ხელში ჩაგდება და არც აცივა, არც აცხელა—პირდაპირ მოუთხოვია ადგილობრივი სომხეთის ჯარის უფროსისათვის, ეხლავე დაგვიცალე ეგ ადგილიო. ვის საზღვრებში შედის ეს ადგილი? აღერბეიჯანისაა იგი, თუ სომხეთისა? ამ საკითხს „წითელი" კომანდირისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია. რა წესით უნდა გადაწყდეს ტერიტორიული საკითხი, თუ იგი ჯარის უფროსმა სადავოთ მიიჩნია? დასაშვებია თუ არა, რომ ტერიტორიულ საკითხებს სალდათები სწყვეტენ ადგილობრივ? ამაზედაც არ ჩაფიქრებულა გულადი „კომუნისტი": მოუნდა ტერიტორიის დაჭერას და პირდაპირ მოითხოვა მისი დაცლა.

ადგილობრივი კომუნისტების ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედებაა იმის მიზეზი, რომ კომუნისტების შემოსვლამ და მათმა დამკვიდრებამ აღერბეიჯანში მთელი ამიერ-კავკასიის ატმოსფერა მოწამლა. საბჭოთა რუსეთთან ზავი გვაქვს, თვით აღერბეიჯანთანაც როგორც იქნა ჩამოვაგდეთ მშვიდობიანობა, მაგრამ ჩვენს საზღვრებს ახლო ჯარის უფროსებათ არიან ლევანდოვსკები, ველიკანოვები და მათნი მსგავსნი, და ჩვენ დარწმუნებულნი არა ვართ, რომ ისინი თვით ინიციატივით არ გადასდგავენ იმისთანა ნაბიჯს, რაც არარაობათ აქცევს ასეთის სიძნელით მიხწეულ კეთილმეზობლობასაც, ორივე მხარისათვის ასე საჭირო ზავსაც და მშვიდობიანობასაც.

## ბიუროკრატიული და დემოკრატიული ინტერნაციონალი

აღდგენილ ინტერნაციონალს უნდა ახასიათებდეს ძალა-უფლების ხელში აღების დღის წესრიგში დასმა. ამისთვის სუბიექტიურად და ორგანიზაციულად სავსებით მომზადებულია გერმანიის და ინგლისის მუშათა კლასი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ორ დიდ კულტურულ ქვეყანას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მთელი ევროპის და, შეიძლება ითქვას, კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბალისთვის, საერთო მსჯელობის დროს უფრო პატარა და შედარებით სუსტ სექციებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ძალა-უფლების აღების დღის წესრიგში დასმა მოითხოვს, როგორც აუცილებელ და პრაქტიკულ პირობას, ყოველივე კოალიციის უარყოფას ბურჟუაზიულ მმართველ პარტიებთან: ამ დებულებას თანდათან ითვისებს ევროპის მუშათა კლასი. ის სექციები, რომელნიც არ განთავისუფლებულან ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის სურვილისაგან, ვერ იქნებიან ღირსეული წევრი ახალი ინტერნაციონალის.

ევროპის მოწინავე მუშები დემოკრატიულ ნიადაგზე არიან აღზრდილნი. აქ ჩვენ სახეში გვაქვს მათი ორგანიზაციის სტატუტები და პრაქტიკა და არა სახელმწიფოებრივი ფორმა ევროპის ქვეყნების. ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც ახასიათებდა მოწინავე ქვეყნებს, საკმაო საშუალებას აძლევდა მუშათა კლასს პოლიტიკურად აღზრდილიყო და მომწიფებულიყო. საერთო პოლიტიკურ ბრძოლაში სოციალისტური პარტიის დროშის ქვეშ მოქმედება, გარკვევა და დაფასება იმ კითხვების, რომელიც ერის ცხოვრების მიერ იყო წამოყენებული, კლასიური თვალსაზრისით, ბოლო დროს საერთაშორისო პოლიტიკისთვის თვალყურის დევნება და ამ დარგშიც დარაზმულად გამოსვლა (მაგალითად რუსეთის საქმეების შესახებ), შეძლებას აძლევდა ევროპის მუშებს, ის პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც წინასწარ და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ძალა უფლების ხელში ასაღებად.

რაც შეხება მუშების კლასიურ ორგანიზაციებს (პარტიას, პროფესიონალურ კავშირებს, კოოპერატივებს), იქ სავსებით დაცული იყო დემოკრატიული პრინციპი. ამ ორგანიზაციებში მუშები იყვნენ ბატონ-პატრონნი. განსაკუთრებით პროფესიონალურ კავშირებში და კოოპერატივებში ისინი პრაქტიკულად ეცნობოდენ დიდ ეკონომიურ საკითხებს. იყვენ ხელმძღვანელნი უდიდესი ეკონომიური დაწესებულებების. არ არის გერმანიაში და ინგლისში რომელიმე სფერო სახალხო მეურნეობის, სადაც მუშებს არ მიეღოთ მხურვალე მონაწილეობა და პრაქტიკულად არ დაემტკიცებიათ მეურნეობის ხელმძღვანელობის უნარი. მათი კომიტეტები და ბიუროები (პროფესიონალურ და კოოპერატიულ კავშირებში) ასრულებდენ საერთო კრებების დადგენილებებს. ეს საერთო კრებები მუშების დელეგატების სახით იყო ნამდვილი მუშური—უაღრესად დემოკრატიული პარლამენტები, რომლის წინაშე თვით წვრილმან საკითხებშიაც პასუხისმგებელნი იყვნენ ხელმძღვანელები. მუშების დემოკრატიული თვითმართველობა—ისტორიული ფაქტი გახდა მოწინავე ქვეყნებში. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ განსაკუთრებით ინგლის-გერმანიაში, მუშები ერის უმრავლესობას წარმოადგენენ, ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რატომ შეუძლიათ მათ აიღონ ძალა-უფლება ხელში და ის შესაფერად და ღირსეულად მოიხმარონ.

რუსეთის მუშებს თვითმპყრობელობის დროს არ ჰქონდათ საშუალება, პოლიტიკური რეჟიმის მიზეზით, შესაფერად მომზადებულიყვნენ. რაც შეეხება კომუნისტების მართვა-გამგეობას, დღეს თვით კომუნისტებმაც იციან, რომ მათ სამფლებელოში დემოკრატიულ ორგანიზაციებზე ლაპარაკი ზედმეტია. ამით აიხსნება ის უმზგავსო და უაღრესად მახინჯი მოვლენა, რომელთაც ადგილი აქვს რუსეთში. აი რას ამბობს ამ მოვლენის შესახებ კომუნისტური მთავრობის წევრი ა. სოლცი („პრავდა", 5 ივნისი): „**მე კარგად ვიცი, რომ ყველა ჩვენს გლავკებში და ცენტრებში, ყველა „ტოპებში" „პროდებში" და „პატრებახში"** (ასე ეძახიან კომუნისტები სხვადასხვა ეკონომიურ ორგანიზაციებს. ბ. თეკლათელი) **და თვით იმ დაწესებულებაში, სადაც მე ვმსახურობ—ცენტრო ხოიუზში—ხდება ქურდობა და დატაცება. მე ვიცი, რომ პასუხისმგებელ მუშაკთა სახელს აქვს ტენდენცია გაფართოვდეს. ამნაირად ჩვენ ვდგევართ ძველი რუსეთის ჩინოვნიკების ადგილას ახალი წოდების შექმნის წინაშე, თავისი საკუთარი ინტერესებით, ეგრედ წოდებულ „პასუხისმგებელ" საბჭოთა ჩინოვნიკების"**. ასეთი მდგომარეობაა რუსეთში. კომუნისტები (ჩვენ ვამბობთ შეგნებულ პირებზე და არა „უტვს" ჯარზე) თმას იგლეჯენ და სურთ საქმის გამოსწორება. მაგრამ მათ არ სურთ ამის მიზეზი გაიგონ. ამის მიზეზს მშვენივრად ხსნის ოტტო ბაუერი თავის ცნობილ წიგნში „გზა სოციალიზმისკენ", სადაც ცნობილი და მარქსის ღირსეული მოწაფე სწერს: „როდესაც ხალხის უმრავლესობა არ არის მზათ სოციალური გარდაქმნისთვის, რომელსამე ჯგუფს შეუძლიან ძალით, ან გარდამავალ, შემთხვევითი პირობების გამო ხელში ჩაიგდოს მთავრობა და დაიწყოს დიქტატურით სოციალიზმის განხორციელება. მას არ ეყოლება დამხმარედ თვითმომქმედი შეკავშირებული მუშათა ორგანიზაციები, რომელიც ერის უმრავლესობის სურვილს უნდა გამოხატავდეს. ასეთ პირობებში აღმოცენებული მთავრობა იძულებული იქნება მიმართოს ბიუროკრატიას და დაამყაროს სოციალიზმის მაგიერ ბიუროკრატიული რეჟიმი". დაახლოვებით ასე ხასიათდება კომუნისტების პრაქტიკა რუსეთში.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ნესტორ და ირინე და ძმა ქიულ კალაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობრებს, რომ 23 ივლისს, ცემში უდროოდ გარდაიცვალა პატარა ქალი

## ᲓᲝᲓᲝ.

დასაფლავება მოხდება კვირას, 25 ივლისს ბაკურიანში თავის განსვენებულ პატარა ძმის ᲨᲝᲗᲘᲙᲝᲡ გვერდით. (2441—1—1)

# ᲓᲦᲔᲡ

**ფრანგული ცნობით ბალშევიკები მხოლოდ მაშინ გამართავენ საზავო მოლაპარაკებას პოლონეთთან, როცა მოკავშირენი ოფიციალურად აღიარებენ საბჭოთა მთავრობას.**

**საფრანგეთის და ინგლისის მთავრობანი პოლონეთში მისიას გზავნიან იმის გამოსარკვევად, თუ როგორი ზომები უნდა იქნას მიღებული პოლონეთისთვის დახმარების გასაწევად.**

**ივლისის 22 გაიხსნებოდა ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია, სადაც ბალშევიკების ცნობით, ანტანტა შეეცდება მღვრია წყალში თევზების დაჭერას.**

**საბერძნეთის მისიის ცნობით საბერძნეთის ჯარებმა ბოსფორის და მარმარილოს ზღვის ნაპირებზე სრული წესრიგი დაამყარეს.**

**იუწყებიან სტამბოლში შავი ჭირის გაჩენის შესახებ.**

იკითხოს დალოცვილმა კომუნისტმა სოლცმა, რათ ხდება ქურდობა ყველა საბჭოების დაწესებულებებში. ნუ თუ მას ჰგონია, რომ „პასუხისმგებელი მუშაკები" ბუნებით ქურდები არიან? რატომ გერმანიაში, რომელიც საშინელ შიმშილს განიცდიდა ომის დროს და სადაც ძველი რეჟიმი იყო, მუშების კოოპერაციაში ერთ შემთხვევას ქურდობისას არ ჰქონდა ადგილი და არც დღეს აქვს?

პასუხი აშკარაა. იქ ევროპიული მოძრაობაა. ეს ნიშნავს არა გეოგრაფიულ ცნებას, არამედ პოლიტიკურს. იქ მუშური დემოკრატია თვით-მმართველ ორგანიზაციებშია ჩამოყალიბებული. მომავალი გერმანიის სოციალისტური მთავრობაც ხალხის უმეტესობის, რომელსაც შეუგნია თავისი მოვალეობა, სურვილის გამომხატველი იქნება.

კომუნისტ სოლცის სამეფოში კი აზიაა. იქ მოწინავე მუშები, ან გარიყულნი, ან გათქვეფილნი არიან მეშჩანურ მასაში. რუსეთის დიდ უმრავლესობას სოციალიზმის არაფერი გაეგება და ლამაზ დეკრეტებს, ა. სოლცის სიტყვით, ქურდობით და დატაცებით უპასუხებს „პასუხისმგებელი" მოსამსახურეები.

ბ. თეკლათელი.

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

**ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.**

**№ 116.**

22 ივლისი, 1920 წ. ქ. თფილისი!

1919 წლის იანვრის თვის პირველ რიცხვებიდან დაარსდა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი, რომლის შემადგენლობას შეადგენს რესპუბლიკის შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრნი ნ. იმნაიშვილი, სამხედრო სამინისტროს—ე. ართმელაძე, გვარდიის ექ. ცინცაძე, პროფესიონალურ კავშირების—ფანცხავა, დაჭრილ და დასახიჩრებულთა კავშირის—მუსელიანი, ვაჭარ-მრეწველთა ლოლიძე, რკინის გზის—ს. დოლიძე და ქ-ნნი ნინო გაბაშვილისა, ელიავასი, რამიშვილისა, კიკვაძისა და ბახტაძისა. სერ. ჟორჟოლიანის თავმჯდომარეობით. აღნიშნულია კომიტეტმა დაისახა მიზნად დახმარება გაეწია ფრონტზე მყოფ მეომართათვის, განემტკიცებია მათში სამშობლოს თავდაცვის იდეა, აღემაღლათ ისინი ზნეობრივად, გაემხნევებიათ მით, რომ მთელი საქართველო მათი პირისუფალია, რომ თუმც ბევრი ფრონტზე არ იმყოფება, მაგრამ ისინი ფიქრობენ და ზრუნავენ თავის გმირ დამცველებზე. ამ მიზნით კომიტეტმა მოაწყო ფრონტზე საჩუქრების გაგზავნა, ლაზარეთების მოწყობა, ერთდროული დახმარება ჯარში გაწვეულთა ღარიბ მშობლებისათვის, დაჭრილთა და დასახიჩრებულთა ექიმობა და მოწყობა, კულტურული განვითარება ჯარის. კომიტეტმა მთელ რესპუბლიკაში დამხმარე ქსელი გააბა და ყოველი კუთხიდან კრებდა საჩუქრებს ჯარისათვის. თვით მიჰქონდა ფრონტზე და ანაწილებდა სხვადასხვა ნაწილებში. ჯარისკაცნი აღტაცებით ეგებებოდენ ძვირფას სტუმრებს და მადლობას გამოსთქვამდენ. ასეთი მოღვაწეობისათვის ულრმეს მადლობას ვუცხადებ მხედრობის სახელით კომიტეტის წევრებს და ყველა მათ, ვინც შეუწყო ხელი ფრონტის გაძლიერებას თავისი მატერიალური და მორალური გავლენით. რესპუბლიკის მხედარნი არასოდეს არ დაივიწყებენ ასეთ ღვაწლს და გმირულად დაიცავენ მტრისაგან რესპუბლიკის საზღვრებს და მის მოქალაქეთა კეთილდღეობას.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## ᲡᲐᲥ. ᲓᲔᲞ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

23 ივლისი.

**ბათომი.** (საქ. კორესპ.) ინგლისურ წყაროებიდან მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ბერძნების სამი დივიზიონი, რომლებსაც საფრანგეთის კოლონიალური ჯარები და ინგლისის საზღვაო ჯარის ნაწილები ეხმარება, იმყოფება ჩატალჯაში და მზათ არის ალყა შემოარტყას ნაციონალისტებს. მოკავშირეთა ჯარს განზრახვა აქვს ადრიანოპოლისაკენ წავიდეს. ამასთანავე საფრანგეთის ჯარებს დაევალება გაქცეულ ნაციონალისტების დატყვევება. იმავე წყაროების ცნობით რუმინეთმა ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციაში ინგლისს თავისი დახმარება შესთავაზა. სხვათა შორის, თანახმად კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებისა ოსმალეთის მცხოვრებთა შორის ხელშეკრულების მიღების მომხრეთა რიცხვი იზრდება.

**ბათომი** (საქ. კორესპ.). პოლონეთის ჯარები შეჩერდენ სლუცკის ხაზზე, სადაც ისინი იმყოფებოდენ იპრილში კიევზე შესატევად. გარეშე საქმეთა მინისტრი სეპეგა უახლოეს დროში ლონდონიდან ვარშავაში დაბრუნდება და მაშინ გადაწყდება საკითხი პოლონეთის სარდლობის უახლოესი ნაბიჯების შესახებ. შესაძლებელია მოხდეს ჯარის რეორგანიზაცია, შესაძლებელია აგრეთვე გაიწვიონ ჯარში 18 წლიდან ყველა, ვისაც კი შეუძლია ომში მონაწილეობის მიღება. განზრახულია თავდაცვის საბჭოს დაარსება, რომლის სათავეში იქნება მთავრობის თავმჯდომარე გრაბსკი. გრაბსკი წასული იყო სპაში მილიერანთან და ლოიდ ჯორჯთან დახმარების აღმოჩენის საკითხის შესახებ მოსალაპარაკებლად.

**კონსტანტინოპოლი.** „ორიენტიუსი" იუწყება: საფრანგეთის წრეები გადმოგვცემენ, რომ ბალშევიკები მხოლოდ მაშინ გამართავენ პოლონეთთან საზავო მოლაპარაკებას, როცა მოკავშირენი ოფიციალურად აღიარებენ საბჭოთა მთავრობასო.

**კონსტანტინოპოლი.** „ჟურნალი დორიენი" იუწყება კონსტანტინოპოლში შავი ჭირის გავრცელების შესახებ.

**პარიზი.** „ჰუმანიტე" იუწყება: უკანასკნელ დღეებში ივლისის 10-მდე ლოიდ ჯორჯის თანამშრომლებსა და კრასინის მისიის შორის არა ოფიციალური მოლაპარაკება სწარმოებდაო. დაჟინებით ამბობენ, რომ მოსკოვის მთავრობამ გადასწყვიტა ინგლისის კაბინეტის პირობების სრულიად მიღებაო. მაგრამ მოკავშირენი ამაზე არ დასთანხმდენ და არ დაუთმობენ, სანამ საბჭოთა მთავრობა არ აღიარებს ძველი რუსეთის ვალებს და არ მოგვცემს იმის გარანტიებს; რომ მიღებულ პირობებს კეთილსინდისიერად შეასრულებს.

**პარიზი.** გენ. ვრანგელის სახალხო არმიის წარმომადგენლად პარიზში შჩერბაჩევის მაგივრად დანიშნულია გენ. მილერი.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფი" იუწყება, ყოფილი სამხედრო მინისტრი გუჩკოვი ევროპაში დიდ კამპანიას აწარმოებს ბალშევიკების წინააღმდეგ შეტევის დაწყების სასარგებლოდ. ამ ჯარისათვის საჭირო მასალის მოსაწყობლად შვეციის ბანკებში მილიარდი მანეთი ინახებაო.

**ბათომი** (საქ. კორესპ.). ბათომში შრომის კომისარიატის და მომარაგების მაგიდის მოსაწყობად ენერგიული მუშაობა სწარმოებს. მუშების ორგანიზაციებმა მომარაგების მაგიდის დაარსების საკითხში დიდი ინტერესი გამოიჩინეს. მუშების ყველა ორგანიზაციაში ხდება წევრების რეგისტრაცია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენ პირს უნდა მიაწოდოს მომარაგების მაგიდამ საჭირო სურსათი. ბათომის შრომის კომისარიატის მიერ მიღებულია ზომები საავადმყოფო კასის დასაარსებლად. მუშათა სასახლისათვის ეძებენ შესაფერ შენობას. ამავე შენობაში მოეწყობა შრომის კომისარიატის კანცელარია, მომრიგებელი კამერა და სხვა.

**შანხაი.** პეკინთან მიმოსვლა აღდგენილია.

**ლონდონი.** „ტაიმსის" ცნობით საბჭოთა მთავრობამ ლოიდ ჯორჯის ნოტაზე უარით უპასუხა და განაცხადა, რომ მას არა სურს მონაწილეობა მიიღოს იმ კონფერენციაში, რომელიც ლონდონში შეიკრიბება. საბჭოთა მთავრობა ამბობს, რომ ინგლისი მიუდგომლათ არ იქცევა ამ საკითხის გადაწყვეტაშიო. საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას არ სურს ბალტიის სახელმწიფ. კონფერენციაში ჩარევა, რადგან მათთან ზავი უკვე შეკრულია. რაც შეეხება პოლონეთის ნოტა მოითხოვს მათთან პირდაპირ მოლაპარაკების გამართვას ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა პოლონეთს აძლევს უფრო ხელსაყრელ საზღვრების გარანტიას, ვიდრე ლოიდ ჯორჯის ნოტაში არის აღნიშნული.

**რომი.** ივლისის 22. ოდესის ახლოს იტალიის კონტრ ნაღმოსანი „რაკია", რომელიც დანიშნული იყო ლტოლვილთა გადასარჩენათ, დაეჯახა ნაღმს და ჩაიძირა. კომანდირი, ოფიცრები და თითქმის მთელი ეკიპაჟი გადარჩა.

**ლონდონი.** ივლ. 23. გაზეთების ცნობით პეკინში პანიკაა მოსალოდნელი ომის გამო. ქალაქის პიშკარს იცავს პოლიცია, რათა ხელი შეუშალოს უცხო ჯარისკაცების ქალაქში შესვლას.

**ლონდონი.** „დეილ გეროლდის" ცნობით გუშინ ლოიდ-ჯორჯმა უეცრად მოიწვია მინისტრთა საბჭოს სხდომა, მინისტრთა საბჭო იხილავდა საბჭოთა რუსეთის პასუხს ლოიდ ჯორჯის ნოტაზე.

## ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

24 ივლისი.

რიზა ტევფიკ ბეი გაზ. „ალემდარში" ამტკიცებს: ოსმალეთს არ შეუძლია და- [illegible]

## ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ Ა. ᲛᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(მისი გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო).

[illegible] ბაისლეს, რომელიც ჩვენს დროში მომხიბლავია, როგორც სამუდამოდ გამქრალი წარსულის საუცხოო ნაშთი. თუ თქვენ დაჰყოფდით გენ. მაყაშვილთან რამდენსამე ხანს, დაუკვირდებოდით მის ურთიერთობას უმცროს თანამშრომლებთან, მისდამი რწმუნებული მაზრის მაჰმადიან და ქრისტიან, ქართველსა და არაქართველ მცხოვრებლებთან, თქვენ აღმოაჩენდით გენ. მაყაშვილის კიდევ ერთს საუცხოვო თვისებას—მან მშვენივრად იცოდა, ვის როგორ მოპყრობოდა, მას ჰქონდა იშვიათი ბუნებრივი ტაქტი. სწორედ ამ ტაქტის წყალობით დააღწია მან თავი ბალშევიკურ რუსეთს 1918 წლის დამდეგს. ის ეკუთვნოდა ადამიანთა იმ მცირედ ჯგუფს, ვისაც ღირსეულათ უჭირავს თავი მუდამ და ყველასთან და მით პატივისცემის გრძნობას იწვევს მტერ-მოყვარის მხრით.

ყოველი, რაც გენ. მაყაშვილზე ვსთქვით, საინტერესოთ ხდიდა მას, როგორც პიროვნებას, მაგრამ როგორი იყო ის, როგორც მოქალაქე და მხედარი?

ჯერ კიდევ ძველი რუსეთის ჯარის დაშლამდის მოიხვეჭა მან „სანგრის გენერალის" (окопный генерал) სახელი თავისი სიმამაცით და ჯარის კაცებთან დაახლოვებით. არ ვიცით—ესმოდა თუ არა მას სავსებით განახლებული საქართველოს მიზანი და მისწრაფება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი ძველებური პატრიოტიზმი ახალგაზდური ენტუზიაზმით აჩქროლებდა ახალციხის დამცველის გულს. ჩვენ ვიცით, რომ მისი პირადი სიმამაცის წყალობით შევინარჩუნეთ ჩვენ მესხეთის ნაწილი, როცა ბათუმი დავკარგეთ.

იმ მწარედ მოსაგონარ დროს ჩვენი დამწუხრებული სული სასიცოცხლო ძალას ჰპოვებდა ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლითა და ახალციხის სახელოვანი დაცვით. იმ დროს გაიცნო და შეიყვარა ახალმა საქართველომ გენ. მაყაშვილი. გენ. მაყაშვილის სიფხიზლის მეოხებით მისდია კვალდაკვალ ოსმალოს ჯარებს ჩვენმა ჯარმა ახალციხე-ჯავახეთის საზღვრამდე მოკავშირეთა გამარჯვების შემდგომ. გენ. მაყაშვილის სარდლობითვე მოიპოვა ჩვენმა მხედრობამ გამარჯვება სომხებთან ბრძოლაში ახალქალაქის ფრონტზე.

გენერალმა მაყაშვილმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე—დაუზოგავათ ამსახურა მას თავისი გამოცდილება და მამაცური ხმალი. და თუ ბრძოლის ველზე სიკვდილით არა—საგმირო საქმეებით ხომ მაინც მიანიჭა „სიცოცხლე და უკვდავება მშობელ ქვეყანას."

ქრ. შარაშიძის ქალი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗ. ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ

თანახმად სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობების საქართველოს ფინანსიურ-ეკონომიური მისია, რომლის სათავეში ფინანსთა მინისტრი კანდელაკი არის, ამ ჟამად იმყოფება ლონდონში, სადაც აუდიენციის დროს მას (მისიას) შეძლება ჰქონდა ესაუბრა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრ კერზონთან. კანდელაკს ძლიერ კარგად შეხვდნენ. ლორდ კერზონმა საქართვე- [illegible]

## ᲠᲣᲡᲔᲚ-ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

[illegible] განსაკუთრებულმა კომისარმა ჩხეიშვილმა გააკეთა მოხსენება, რომელშიც აღნიშნა, რომ ბათომის დატოვების წინ მოხალისეებმა მთელი თავისი ქონება თან წაიღესო. განსაკუთრებულმა კომისარმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით, ყველანი, ვინც კი მოხალისეებს ეკუთვნოდენ, უნდა გამოცხადებულიყვნენ სარეგისტრაციოდ. მაგრამ რეგისტრაციაზე არავინ არ გამოცხადდა. დააკავეს 12 კაცი, რომელთა შესახებ ეჭვი იყო, რომ ისინი მოხალისეებს ეკუთვნოდენ. დაჭერა გამოწვეული იყო მათი საზიანო მოქმედებით, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. პირად შემადგენლობის საკითხის შესახებ გადაწყდა მისი განხილვის იმ დრომდე გადადება, სანამ რუსეთის დელეგაცია დაკავებულ პირებთან რაიმე დამოკიდებულებას არ დაიჭერს. ქონების საკითხის შესახებ რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ რუზერმა განაცხადა: რუსეთის დელეგაციას ჯერჯერობით არა აქვს კონკრეტიულად რუსული ცნობები ქონების შესახებ, მაგრამ მას შეუძლია 2 ობიექტზე მითითება: სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებისა და „სანალმო ეზოს" ქონების საკითხზე. პრინციპიალურად ამ საკითხებს თფილისში დაბრუნების შემდეგ განიხილავენ. ამასთანავე გადაწყდა ამ ობიექტების გამოკვლევა, რისთვისაც ორივე კომისიის მხრით ორ-ორი წევრი გამოჰყვეს. ივლისის 23 კომისიამ დაათვალიერა სანალმო ეზო და სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილება. (სდს).

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

23 ივლისი.

**ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.**

**სამხედრო ცნობა.**

ივლისის 19 ჩვენ გროდნო ავიღეთ. ჩვენმა ჯარმა მდ. ნემანზე გადასვლა დაიწყო. დაბა სკიდელის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტერი გაფანტა. სლონიმის რაიონში ჩვენ ბრძოლით გადავედით მდ. შარაზე; წამოვიყვანეთ 150 ტყვე. პინსკის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. იასელდის ხაზზე იბრძვის. დუბნოს რაიონში მკაცრი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა პოლონელების დიდი ნაწილი დაამარცხა, წამოიყვანა ტყვეები, ხელთ იგდო ტყვიისმფრქვევლები, თოფები და სხვა ქონება.

**მესამე ინტერნაციონალი.**

**მოსკოვი.** ივლ. 22. დღეს საღამოს 11 საათზე კრემლის სასახლის დარბაზში მოსკოვში პირველად ზეიმით გაიხსნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის პირველი სხდომა. ყოფილი სამეფო დარბაზი გავსილია. ყრილობის დელეგატებს უჭირავთ დარბაზის ნახევარი, მოხსენების გასაკეთებლათ პირველი სიტყვა მისცეს ზინოვიევს.

**რუმინეთის ინტრიგები.**

რუმინეთის დიპლომატიური ინტრიგები არ სწყდება. ამავე დროს ამზადებენ ფინეთსაც.

**ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია.**

ივლისის 22 უნდა გაიხსნას ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია, სადაც ანტანტა უსათუოდ შეეცდება მღვრიე წყალში თევზის დაჭერას.

**ინტრიგა გერმანიაში.**

ინტრიგას აწარმოებენ გერმანიაშიაც გერმანიის შავრაზმელები ძლიერ მღელვარებენ, რომელიც გამოწვეულია ვითომ „ბალშევიკურ საშიშროებით" საბჭოთა ჯარის მოახლოვების გამო.

**კრიზისი იაპონიაში.**

**ლონდონი.** ივლ. 16. ტოკიოდან მოსული ცნობით იაპონიის ეკონომიური კრიზისი თანდათან იზრდება. აქ ძლიერი სიძვირეა.

**ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.**

**მაღაროების ნაციონალიზაცია.**

საქსონიის მთავრობა იმუშავებს კანონპროექტს, რომელიც სახელმწიფოს ნებას აძლევს მოახდინოს კერძო მაღაროების ნაციონალიზაცია იმ პირობით, რომ კერძო მესაკუთრეებს ზარალი აუნაზღაუროს.

**ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.**

**მისია პოლონეთში.**

საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობანი პოლონეთში მისიას—გზავნიან. საფრანგეთის მისიაში შედიან: შეერთებული შტატის მყოფი ინგლისის ელჩი ჟიუსსერანი და გენერალი ვეილანდი.

**პ ო ლ ო ნ ე თ შ ი.**

ლონდონის კორესპონდენტი „ეკო დე პარის" აუწყებს ბალშევიკებმა დაიკავეს ბელოსტოკი და ვარშავის მიმართულებით 50 კილომეტრზე წინ წაიწიეს,

**ქემალისტების წინააღმდეგ.**

ბეირუთიდან მოსული ცნობის თანახმად ხასბაის მცხოვრებლები აჯანყდენ. მათ გარეკეს ქემალისტების მთავრობის წარმომადგენლები და საფრანგეთის დროშა ააფრიალეს.

**ა დ რ ი ა ნ ო პ ო ლ შ ი.**

გაზ. „ტანს" ადრიანოპოლიდან აუწყებენ; ჯაფარ-ტაიერმა გადასწყვიტა ადრიანოპოლიდან გამოიყვანოს თავისი ჯარი, რათა წინააღმდეგობა გასწიოს ლიულე-ბუგასთან. ადრიანოპოლში იგი სტოვებს მხოლოდ 300 კაცს.

**ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.**

გაზ. „ლიბერტეს" ცნობით ოსმალეთის ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ ფონტენბლოში.

**დახმარება პოლონეთს.**

უკვე აღნიშნულ პირებს გარდა ვარშავაში გასაგზავნ საფრანგეთის მისიაში შედის ვიგონი, მილიერანის კაბინეტის მთავარი ად-იუნკტი. ინგლისის მისიაში შედის ბერლინში მყოფი ინგლისის ელჩი ლორდ დ-აბერნონი და გენ. რადკლიფფი, რომელსაც თან ახლავს სერ მორის ხანკეუ. ეს მისიები, სწერს „ფიგარო", ადგილობრივ გაეცნობიან მდგომარეობას და იმას, თუ როგორი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ დახმარება გაეწიოს პოლონეთის მთავრობას.

**პოლონეთის ცნობა.**

ივლისის 23. გროდნოს აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. პოლონელებმა წინასწარ განსაზღვრულ გეგმით ბარანოვიჩიდან უკან დაიხიეს და მდ. შარის აღმოსავლეთით ბალშევიკებს წინააღმდეგობას უწევენ. პრიპიატის სამხრეთით და მდინარე სტირის ხაზზე მოვიგერიეთ ბალშევიკების იერიშები. მიუხედავათ ამისა ბორჩვიჩოს რაიონში მტერმა შესძლო მდინარეზე გადასვლა. დუბნოს რაიონში ბრძოლა მკაცრ ხასიათს იღებს. პოლონელების ჯარის ნაწილმა ბალშევიკები გამოდევნა მილნოსიდან, მაგრამ ბალშევიკების კავალერიის დივიზიამ ისარგებლა პოლონეთის ნაწილის სუსტათ თავის მოყრით, შემოუარა გარს ჩვენ ჯარს და იერიშები მოიტანა ვოლოჩისკთან და ფრიდრიხოვკასთან. ბალშევიკების მხრივ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ქვეითი და ცხენოსანი პოლკი, არტილერია და 5 ჯავშნიანი მატარებელი. ბალშევიკებმა იერიშები 5-ჯერ განაახლეს, მაგრამ პოლონეთის 53-მა ქვეითმა პოლკმა ეს იერიშები ხუთივეჯერ მოიგერია. ორივე მხარე ძლიერ დავზარალდით. ამ რაიონის სამხრეთით ბალშევიკებმა სიდოროვკის მიდამოებში შესძლეს მდ. ზბრუჩზე გადასვლა. ამ ადგილებში ბრძოლა გრძელდება.

**ეროვნული თავდაცვის საბჭო.**

ვარშავიდან მოსული ცნობით პოლონეთის ეროვნული თავდაცვის საბჭომ დროებითი ზავის მიზნით გადასწყვიტა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების გამართვა.

**საზავო ხელშეკრულების გარშემო.**

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: რიზა ტევფიკმა და ხადი ფაშამ ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად პარიზში წასვლის ბრძანება მიიღესო.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

✦ **თფილისის მუშების ექსკურსია ბათომში.** კვირას, 25 ივლისს, განახლებულ ლითონზე მომუშავეთა კავშირის მუშების ნაწილი (300 კაცი) მიემგზავრება ბათომში ბათომის დასათვალიერებლათ. მათთან ერთად მიემგზავრება პროფესიონალური კავშირების სეკრეტარიატის პრეზიდიუმი.

✦ **ორთაჭალის მუშათა კლუბის** საზაფხულო განყოფილებაში დღეს, დილის 9 საათზე დანიშნულია ორთაჭალის რაიონის სახალხო გვარდიელების საზოგადო კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს მთავარი შტაბის წევრი. მოსმენილ იქნება მოხსენება რაიონულ შტაბის საქმიანობის შესახებ და სხვა საგულისხმო კითხვებზე.

✦ **მიტინგი ქვემო ავჭალაში.** დღეს, 25 ივლისს, დილის 10 ს., გაიმართება სოფელ ქვემო ავჭალაში დიდი მასიური მიტინგი, სადაც გააკეთებენ მოხსენებას დამფუძნებელი კრების წევრები სარდიონ თევზაძე და გრიგოლ ცინცაძე მიმდინარე მომენტზე.

✦ **ბათომიდან** აკაკი ჩხენკელმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ქვემო აჭარის მცხოვრებლები, აღფრთოვანებული სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველოს გაერთიანებით, ულრმესი პატივისცემით გულწრფელად გილოცავთ ამ დიად ფაქტს, მოხარული და ბედნიერი ვართ ჩვენი საერთო მიზნების განხორციელებით ჩვენთვის დაუვიწყარია თქვენი მშობლიური ჩვენდამი პატრონობა და ჩვენი ქვეყნის ცოლ-შვილის ნამუსის და ჩვენი არსებობის 1914 წ. რუსეთის ჯალათების განადგურებისაგან ხსნა. გამეორებით მადლობას შემოგწირავთ და გისურვებთ დღეგრძელობას, ვიმედოვნებთ აწი არ დაგვივიწყებთ და კვლავ განაგრძობთ თქვენს ნაყოფიერ მუშაობას ჩვენთვის. სულეიმან ბეკ ბატანიძე ეიუბ დიასამიძე, თებიკ ბეკ თავაძე, ხოჯ ალაა გუაბაის თარიშვილი, სოფელ მეძიბნა: იმამ ალისშვილი—კედერ, სოფელ დოლოგანი, კედიმ ალა ცინცაძე; სოფელ მახუნცეტი, გურჯი ოღლი იბრაგიმ აბას სიბლაძე, სულეიმან ბეკ ბოლქვაძე.

✦ **დარჩა** ვიღაცას წამოსასხამი („პლაში") საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტში. პატრონს შეუძლია მოიკითხოს კომიტეტშივე.

✦ **„მხედარი".** გამოვიდა მე-8 ნომერი ჟურნალი „მხედარი" შემდეგი შინაარსის: აჭარა-ქობულეთის ტიპები, მეთაური, ობლის კვერი, საუბარი ჯარისკაცთან ივ. გომართელისა, დღევანდელი სინამდვილე ს. დევდარიანისა, კომუნისტი-ჟანდარმი, ძვირფას ამხანაგ კიროვს, საქართველოს მოტრფიალე ქართველი მაჰმადიანები—ჭიჭინაძისა, ჰოსპიტალში—სურათი ერთ მოქმედებათ ს. შავგულიძისა, გავლენა აქვს ბალშევიკებს სოფლათ თუ არა ჯ. ქ., ლექსები შიო მღვიმელისა, გარსევანიშვილისა, ი. მჭედლიშვილისა.

✦ **ფოთის ნავთსადგურში** ამ ჟამად სდგას 12 გემი, მათგან 9 ინგლისის და ამერიკისა, რომლებსაც შავი ქვით ტვირთავენ.

✦ **ბოროტ-მოქმედებანი სასურსათო ბარათებით.** სასურსათო ბარათებით ბოროტ-მოქმედების გამო სატარიფო პალატამ დაადგინა: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც დამნაშავენი აღმოჩნდებიან ამ ბოროტ-მოქმედებაში, პრეზიდიუმის დადგენილებით განსაზღვრულ ვადით მოესპობად უფლება სასურსათო ბარათებით სარგებლობისა და თუ ეს კიდევ განმეორდა, მაშინ იმათ დაითხოვენ, 2) იმ დამქირავებელთ, რომელნიც ამ ბოროტ-მოქმედების მონაწილენი აღმოჩნდებიან და რომელნიც თავის დროზე არ შეატყობინებენ მომარაგების ფონდის რწმუნებულს დათხოვნილ მუშებისა და გამორიცხულ მოსამსახურეების შესახებ და ან ყალბ ცნობებს წარმოადგენენ მოსამსახურეთა რიცხვის შესახებ, გადაახდევინებენ ზარალს, რომელიც მათ მიაყენეს მომარაგების ფონდს და 20 ათას მანეთამდე ჯარიმას დაადებენ.

**ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ**

ორშაბათს, 26 ივლისს, საღამოს სრულ 6 ს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა. ბიუროს წევრებს სთხოვენ მობრძანდენ ნახევარი საათით ადრე.

— 27 ივლისს საღამოს 5 ს. დანიშნულია მე-6 რაიონის ს. ს. დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება ორთაჭალის მუშათა კლუბის საზაფხულო შენობაში. მოსმენილი იქნება მოხსენება პარტიულ ყრილობის მუშაობის შესახებ.

— დღეს 25 ივლისს, საღ. 4 საათ. ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში ამხ. ნ. ათაბეგოვ-ტუმასი წაიკითხავს მოხსენებას „სოციალურ დახმარებაზე". შესვლა უფასოა.

**ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.**

**ფოთი.** მხატვარი დელპესი ივლისის ბოლოში მართავს სამხატვრო გამოფენას, სურათების, მინიატიურების და ეტიუდებისას.

**ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲝᲜ ᲘᲕ. ᲯᲐᲨᲡ.**

სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ თქვენ ავრცელებთ ჩემზედ რაღაც ბრალდებებს და ჩემს ნაცნობ-ნათესავების თვალში ჩირქს მცხებთ.

სიმართლის გამოსაკვლევათ მე გიწვევთ თქვენ სამედიატორო სამართალში, რომელიც უნდა დაიწყოს არა უგვიანეს ორშაბათისა 26 ივლისს ა. წ. და ვასახელებ ჩემის მხრივ სამედიატორო სამართალში: ნიკო ელიზიშვილს და რევაზ გაჩეჩილაძეს.

**მირიან სადრაძე.**

## ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

**ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.**

(ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს პროვინციაში).

თანახმად ამა წლის 8 ივნისის მთავრობის დადგენილებისა პროვინციის სახელმწიფო დაწესებულებათა უმცროს მოსამსახურეთა ჯამაგირი გადიდებულია.

ქუთაისის, ფოთის, სოხუმის მოსამსახურეთ 1736 მანეთის მაგიერ, მიეცემათ თვიური ჯამაგირი 1960 მანეთი, დანარჩენ პროვინციის მოსამსახურეებს 1624 მანეთის მაგიერ 1736 მანეთი.

ყველა პროვინციის სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს ევალებათ აძლიონ უმცროს მოსამსახურეებს ნაჩვენები ჯამაგირი ამა წლის 1-ლ ივნისიდან. თუ ამისთვის თქვენ დაწესებულებას საკმაო კრედიტი არა აქვს, საჭიროა კანონიერი წესით, ფინანსთა სამინისტროს საშუალებით გამოითხოვოთ დამატებითი თანხა. ყოველ შემთხვევაში ამან არ უნდა დააყოვნოს უმცროს მოსამსახურეთათვის ახალი ჯამაგირების დარიგება.

საქმეთა მმართველი **ი. გოლდმანი.**

საქმის მწარმოებელი **მ. ხოხაძე.**

## სატარიფო პალატაში

ხუთშაბათს, 23 ივნისს ამხ. გოლდმანის თავმჯდომარეობით შესდგა სატარიფო პალატის სხდომა.

**ცვლილებანი სატარიფო პალატის შემადგენლობაში.**

მექარხნეთა კომიტეტს გამგეობის ხელახალ არჩევნების გამო მწარმოებელთაგან სატარიფო პალატაში გასულთა მაგიერ არჩეულ არიან ა. ი. სეილანოვი და მ. ზ. კიპკინი, კანდიდატი—ალექსანდროვი.

**ერთდროული დახმარება.**

ამხ. გოლდმანი მოახსენებს კრებას, რომ 2 კვირის წინათ მუშათა სექციამ აღძრა საკითხი მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ. მომატების დაწესება არ არის სასურველი, რადგან მომატების მიღებისთანავე ბაზარზე ფასები იწევს, ერთდროულ დახმარებას კი ისეთი შედეგი არ მოყვება, რაც დაამტკიცა წინად გაცემულმა ერთდროულმა დახმარებამ.

კრება უკამათოდ ადასტურებს დახმარების მიცემის საჭიროებას და ამტკიცებს შესაფერ ინსტრუქციებს.

**ზედმეტი ხელფასი იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც არ ღებულობენ სურსათს.**

დღემდე ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც არ სარგებლობდენ მომარაგების ფონდით, ღებულობდენ ზედმეტ ჯილდოს, 25%-ის ანგარიშით, მაგრამ არა უმეტეს 1000 მანეთისა.

სატარიფო პალატა იღებს მხედველობაში პურის გაძვირებას და ადგენს, რომ ასეთმა მუშა-მოსამსახურეებმა უნდა მიიღონ ზედმეტათ დღეში არა ნაკლებ 30 მან. და არა უმეტეს 60 მან., ე. ი. თვიურათ 750—1500 მან. ამ დადგენილებას ძალა აქვს მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მოქმედებს მომარაგების ფონდი. ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

**ბოროტ-მოქმედება სასურსათო ბარათებით.**

სასურსათო ბარათებით ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელათ სატარიფო პალატა ადგენს:

1) სასურსათო ბარათებით ბოროტ-მოქმედებაში შემჩნეულ მუშა-მოსამსახურეებს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრულ დროით წაერთმევათ ბარათებით სარგებლობის უფლება, ხოლო განმეორებით შემთხვევაში კი დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან.

2) დამქირავებელნი, რომელთაც წილი ედებათ ბოროტ-მომქმედებაში და რომელნიც მუშათა მომარაგების რწმუნებულს თავის დროზე არ აუწყებენ ასეთი მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნას, ან ყალბ ცნობებს მიაწვდიან მათ წარმოებაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ, ვალდებულნი არიან მომარაგების ფონდს აუნაზღაურონ ბოროტ მოქმედებით მისთვის მიყენებული ზარალი, და დაჯარიმებულ იქნებიან 20,000 მანეთით ყოველ ცალკე შემთხვევაში.

## ინსტრუქცია ერთდროული დახმარების მიცემისა

(სატარიფო პალატის 1920 წ. 23 ივლისის დადგენილება კერძო საზოგადოებრივ და სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ.)

§ 1. ყველა კერძო დამქირავებელნი და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, ვალდებულნი არიან მისცენ ყველა მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც 23 ივლისისათვის იმყოფებიან სამუშაოზე და რომელთა სამუშაო ხელფასს აწესრიგებს სატარიფო პალატა ერთდროული დახმარება ერთი თვის ხელფასთა რაოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან., ქვემოხსენებულ წესრიგის მიხედვით.

§ 2. უფლება ერთდროულ დახმარებისა აქვთ: 1) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე არიან დაქირავებულნი, 2) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო სამსახურში მობილიზაციის გამო, ერთი თვის მთელი ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3 ათასი მანეთისა, გარდა აფიცრებისა, სამხედრო მოხელეებისა და ექიმებისა; 3) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დროებით სამუშაოთ არიან დაქირავებულნი, თუ ისინი 23 ივლისამდე არა ნაკლებ ორი კვირისა მუშაობდნენ სამუშაოზე; 4) მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც იღებენ ჯამაგირს წარმოებიდან და დაწესებულებებიდან სახალხო გვარდიაში ყოფნის დროს და მიუხედავათ იმისა, თუ ვისგან იღებენ ხელფასს; 5) მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც დროებით განთავისუფლებული არიან სამსახურიდან ავადმყოფობით და საზოგადო წესის მიხედვით: 6) მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც სახალხო გვარდიელების სახლში გაშვებულების, ავათმყოფების და მობილიზაციით ჯარში გაწვეულების მაგივრათ არიან ან დროებით დაქირავებული, თუ ისინი 23 ივლისამდე მსახურობდნენ არა ნაკლებ ორი კვირისა.

§ 3. ნაჭრობით მომუშავენი იღებენ შემწეობას საერთო წესით, ამ დადგენილების მიღებამდე სამი უკანასკნელი თვის ხელფასიდან საშუალო თვიური ქირის ანგარიშით, იმ შემთხვევაში, თუ ნაჭრობითი მუშაობა სწარმოებს სატარიფო პალატის მიერ დაწესებულ ნაჭრობითი მუშაობის ტარიფების მიხედვით.

§ 4. მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ პირველ ივლისს შემდეგ, ან-და დათხოვნილნი არიან 23-დან 23 ივლისამდის დროს განმავლობამდის, ერთდროული დახმარება ეძლევა ივლისში ფაქტიურ ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან.

§ 5 ჯილდო ზედმეტ და კვირა-უქმე დღეებში მუშაობისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს შემწეობის ანგარიშში.

§ 6. მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც ერთს ან ორ წარმოებაში ან დაწესებულებებში ორი თანამდებობა უკავიათ, იღებენ შემწეობას მხოლოთ ერთ ძირითად თანამდებობაზედ.

§ 7. სახლში მომუშავეებს აქვთ შემწეობის მიღების უფლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვლებიან ამ წარმოების მუდმივ მუშებათ.

§ 8. მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ ჯამაგირს ნაწილობრივ პროცენტულ ჯილდოს ანდა მუშტარისაგან ფასის სახით (პარიკმახერები, მექისეები და სხ.) იღებენ შემწეობას, ტარიფში დაწესებულ სამუშაო ხელფასის რაოდენობით.

§ 9, მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც იღებენ ხელფასს ნატურით, აქვთ შემწეობის მიღების უფლება მხოლოდ ფულათ მისაღებ ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1200 მანეთისა.

§ 10. ერთდროულ შემწეობის მიღების უფლება არა აქვთ პროცენტებზედ მომუშავე მუშა-მოსამსახურეებს (ოფიციანტები, პარიკმახერები და სხ.).

§ 11. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს აღძრული გაუგებრობანი გადაწყდება სატარიფო პალატის პრეზიდიუმის მიერ.

თავმჯდომარე სატ. პალ. **ი. გოლდმანი.**
მდივანი **ი. ტრეიმანი.**

## პროფეს. კავშირებში

(საქ. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს აღმ. კომიტეტის და თფილისის სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა.)

**22 ივლისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ხელაძე.**

**ალ. ხელაძე.** მოახსენებს კრებას, რომ თანახმათ ამას წინათ შემდგარ კონფერენციის დავალებისა, საბჭოთა რუსეთში უნდა გაიგზავნოს საქართველოს მუშათა დელეგაცია, რომელიც მასალებით ხელში რუსეთის მუშებს გააცნობს ჩვენს ნამდვილ მდგომარეობას, მეორეს მხრით კი ადგილობრივ გაეცნობა იქაურ მდგომარეობას. ჩვენი დელეგაცია იქნება ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც გზავნის ერთი სახელმწიფოს მუშათა კლასი მეორე სახელმწიფოს მუშათა კლასთან. ამხ. ხელაძე დასასრულ წინადადებას იძლევა დელეგაციის გასაგზავნათ საჭირო ხარჯების დასაფარავათ ეთხოვოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას შესაფერი თანხის გადადება.

**ამხ. გიორგაძეს** მიაჩნია, რომ საბჭ. რუსეთში მუშათა დელეგაციის გაგზავნა დაგვიანდა კიდევაც, ადრევე იყო საჭირო, რომ მუშათა წარმომადგენლები ადგილობრივ გაცნობოდენ და გაეგოთ, თუ როგორი „სოციალიზმი“ სუფევს საბჭოთა რუსეთში, რაც შეეხება ხარჯებს, ეს ჩვენ უნდა გავეღოთ, მაგრამ რაკი საშუალება არა გვაქვს, უნდა მივმართოთ მთავრობას, რომელიც უეჭველათ უნდა დაგვეხმაროს ამ ჩვენ საქმეში. შემდეგ ორატორი საჭიროთ სცნობს ასეთი დელეგაციები გაიგზავნოს უცხოეთის სხვა სახელმწიფოებშიაც. რაც შეეხება დელეგაციებს, ესენი ნამდვილი მუშები უნდა იყვნენ.

შემდეგი ორატორები ერთსულოვნათ აღიარებენ საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაციის გაგზავნის საჭიროებას; ყველა ორატორი აგრეთვე საჭიროთ სთვლის საჭირო თანხა ეთხოვოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას. კამათს იწვევს დელეგატების არჩევნების წესის საკითხი.

**ამხ. კ. ჩხენკელს** უმჯობესათ მიაჩნია რომ არჩევნებში პრინციპიალურ ცენტრებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ, მისი აზრით ეს საქმეს გააჭიანურებს და ამიტომ თუ ეს არ მოხერხდა მალე, აღმასრულებელ კრებას მიენდოს დელეგატთ, სიის შედგენაო.

**ამხ. ელბაქიძე** საჭიროთ სთვლის დელეგაციაში შევიდენ საქართველოს მუშათა ყველა მიმდინარეობის წარმომადგენელნი, რადგან ზოგს არ სჯერა ის, რასაც ჩამოსულები ეუბნებიან მათ საბჭოთა რუსეთის შესახებ, ზოგი ირყევა და სხვა ნაირი აზრისანი არიან საბჭოთა რუსეთის წესწყობილების შესახებ.

**ამხ. ი. ბადრიძე** ამბობს, რომ სხვა სახელმწიფოებში დელეგაციების გაგზავნა შემდეგისთვის უნდა გადაიდოს, რუსეთსა და ადერბეიჯანში კი ეხლავე უნდა გაიგზავნოს. ადერბეიჯანში მთელი ვაგონი უნდა გავგზავნოთ. დელეგატები უნდა აირჩიოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მუშათა სხვა მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან ერთად.

**ამხ. ა. ხელაძე** წინადადებას იძლევა დელეგატების რიცხვი განისაზღვროს 10-ით; სიას დღესვე ნუ დაამტკიცებს კრება. თუმცა აღმ. კომიტეტს ამის უფლება აქვს, მაგრამ უმჯობესია სხვა ცენტრებმაც მიიღონ მონაწილეობა დელეგატების დასახელებაში.

**ამხ. ხ. დევდარიანი** ამბობს, რომ დელეგაცია უნდა გაიგზავნოს 1 კვირის განმავლობაში, რათა იგი სექტემბრამდე დაბრუნდეს, ვინაიდან ამ თვიდან რუსეთში დიდი სიცივეები იწყება და თუ დელეგატების მოუკვიანდათ, ისინი დიდ გასაჭირში ჩავარდებიან. საჭიროთ მიაჩნია, რომ დელეგატების სია თფ. პროფ. კავშირთა საერთო კრებამ დაამტკიცოს.

**ამხ. აბდუშელიშვილი** წინადადებას იძლევა დელეგატების რიცხვი განაწილდეს ყველა ცენტრებისთვის და ყოველმა ცენტრმა ცალკე აირჩიოს

**ამხ. ვ. ბერიშვილი** ამბობს რომ კონფერენციამ აღმას. კომიტეტს დაავალა დელეგაციის გაგზავნა და მანვე უნდა აირჩიოს იგი, მას სახეში ექნება სხვა ორგანიზაციებიც. მით უმეტეს, რომ მას ენდობა ყველა ცენტრები.

**ამხ. თოფაძე** იზიარებს ამ აზრს და წინადადებას იძლევა ცენტრებს დეპეშით ეუწყოს კანდიდატების სია.

დასასრულ ამხ. **ა. ხელაძის** წინადადებით და ამხ. **ვ. ჩხენკელის** შესწორებით კრება ღებულობს დადგენილებას, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო დაბეჭდილი, და მოითხოვს მუშათა დელეგაციის გაგზავნას საბჭოთა რუსეთში, არჩევნებისათვის კონფერენციის მოწვევას და დამფ. კრებისადმი შუამდგომლობის აღძვრის საჭიროებას შესაფერი თანხის გადასადებათ.

## იტალიის სახალხო სკოლები

(წერილი რომიდან)
(იხ. "ერთ." № 165)

იტალიის დაბალი სკოლები შენობების მხრივ კარგ პირობებში ვერ არის. მხოლოდ მსხვილ კომუნებს თუ აქვს საკუთარი შენობები გეგმის მიხედვით—აგებული.—და ისიც იშვიათ შემთხვევებში. შენობები დაქირავებულია და ისიც არა საკმარისათ. სახალხო დირექტორის განცხადებით, ხშირად ორ რიგად ასწავლიან—დილა-საღამოობით. როგორც ვთქვით, სკოლა 4 წლიანია,—4 კლასიანი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სკოლაში მხოლოდ ორი (2) მასწავლებელი ასწავლის,—ორ-ორ განყოფილებას—თითოეული. სახალხო განათლების სამინისტრომ ამის მიზეზათ ფინანსიური სივიწროვე დაასახელა.

სკოლაში ასწავლიან სამშობლო ენას, სამშობლო ისტორიას და გეოგრაფიას, ანგარიშს, პრაქტიკულ გეომეტრიას, ბუნებისმეტყველებას და ზნეობას — თუ როგორ უნდა იქცეოდეს ყოველი იტალიელი, რომ ის სასარგებლო მოქალაქედ ითვლებოდეს ოჯახისთვის, და სამშობლოსათვის.

კვირეულ გაკვეთილების რიცხვი უდრის 25-ს. გაკვეთილი 40—50 წ. გრძელდება და თითეულ კლასში საშუალოთ 50—60 ბავშვი სწავლობს. ამის მიზეზი სამინისტროს სიტყვით — შენობების უქონლობაა, რაც ხე-ტყის სიმცირით არის გამოწვეული. გამოცდები ორჯერ ხდება წელიწადში. ნიშანი 10 სისტემიანია. ვისაც სურს, მივა გამოსაცდელად, თუ არა და რჩება იმავე განყოფილებაში. ვაკაციები გრძელდება შუა ივლისიდან ოკტომბრამდის. სოფლებში ხვნა-თესვის დროსაც ადგილობრივი პირობების მიხედვით ანთავისუფლებენ სამუშაოდ.

იტალიის სახალხო სკოლები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თავისი მომზადებული მასწავლებლებით. ყოველ მასწავლებელს დამთავრებული აქვს ეგრედწოდებული საშუალო ნორმალური სასწავლებელი—პედაგოგიური განყოფილებით. უამისოთ მასწავლებელი სასკოლო სამსახურში არ მიიღება. მასწავლებელნი მიიღებიან სწავლის შესაძნათ უმაღლეს სასწავლებელში. სახალხო სკოლების დირექტორთა ანუ საშუალო სასწავლებლის მასწავლებლათ არ მტკიცდებიან ისეთები, რომელსაც ჯერ უმაღლესი საზოგადო სწავლა არ მიუღია და მასთან ერთად უნივერსიტეტთან არსებულ ორ-წლიანი პედაგოგიური უმაღლესი კურსი არ გაუვლია. ამგვარად, როგორც ვხედავთ, მასწავლებლობა იტალიის სკოლებში, სპეციალურად კარგათ მომზადებულნი არიან და ამ გარემოებას, თქმა არ უნდა, განსაკუთრებული წარმატება შეაქვს სკოლის ცხოვრებაში. ყოველ წლიურად ეწყობა მასწავლებელთა კურსები.

ერთი გარემოება განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებით აღინიშნება იტალიის დაბალ სახალხო სკოლებში. ეს მით, რომ მასწავლებელთა თითქმის 99 პროცენტს ქალები შეადგენენ. როცა შევეკითხე დირექტორს, თუ რით აიხსნება ეს გარემოება, მიპასუხა: ქალის იაფი შრომითო. ამ სიტყვის გაგონებაზე გავიღიმე და, შენიშნა რა ეს ჩემთან მოსაუბრემ—დაუმატა: ამ ჟამად მასწავლებელი კაცებიც მოდიან სოფლის მასწავლებლათ, რადგან მათი ჯამაგირები გადიდდა. მასწავლებლის თვიური ჯამაგირი 300 ლირაა, გარდა ბინა-გათბობა-განათების და იმ დამატებების, რასაც მასწავლებელი მიიღებს თავის ნამსახურ დროის მიხედვით. პირველ დამატებას ღებულობს 4 წლის შემდეგ და შემდეგ კი ყოველ 3 წელში. პენსიას—25 წლის შემდეგ.

სკოლის გარეთ სწავლა რიგიანათ მიმდინარეობს. შეძლებულ, მსხვილ კომუნებში, არსებობს საბჭოები, რომლებიც საქველმოქმედო წყაროების საშუალებით (აქ მთავრობაც იძლევა დახმარებას), აგროვებს თანხას, აწყობს ბიბლიოთეკებს და გასართობებს სკოლასთან, სადაც სწავლის შემდეგ იკრიბებიან, როგორც მოწაფეები, ისე არა მოწაფენიც და კერძოთ დაქირავებულ მასწავლებელთა საშუალებით კითხულობენ გარეშე წიგნებს, ამზადებენ გაკვეთილებს, მართავენ წარმოდგენებს და სხვ. ყოველ სკოლას—ქალაქში და სოფლებში, აუცილებლათ აქვს თავისი საბავშო და სამასწავლებლო ბიბლიოთეკა. კომუნებისა და მთავრობების დახმარებით ყოველ სკოლას მოსდის სახელმწიფოში კარგათ ცნობილი, როგორც პედაგოგიური ჟურნალი, ისე სხვა ჟურნალ-გაზეთობა და საბავშო ლიტერატურა.

ყოველ 30—40 სკოლას, ამა თუ იმ კომუნაში, ჰყავს თავისი გამგე-ინსპექტორი, რომლის ვალდებულებაა კვირაში ერთხელ მაინც დაათვალიეროს სასწავლებელი და საზოგადოთ იდეურათ უხელმძღვანელოს მას. დიდ კომუნებში, ეგრედ წოდებულ საგუბერნიო ქალაქებში,—მაგალითად, რომში მილანოში, გენუაში და სხვ.—ქალაქის სკოლები სრული ავტონომიით სარგებლობენ, მთავრობა არავითარ მატერიალურ დახმარებას არ აძლევს მათ. სწავლის მხრივ მთავრობას ნება აქვს რევიზია გაუწიოს ქალაქის სკოლებს, მაგრამ მასწავლებლის არჩევა და დამტკიცება—თვით ქალაქის საქმეა და მთავრობის დადგენილება ეცნობა მხოლოდ. პატარა კომუნებში მასწავლებელს ირჩევს სასკოლო საბჭო, რომელიც კომუნისა და მთავრობის წარმომადგენლებისაგან შესდგება—მასწავლებელს დირექცია ამტკიცებს.

და აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ახირებული გარემოება,—სახელდობრ ის, რომ ამა თუ იმ კომუნას, რომელსაც უნდა კონკურენციის სახით კარგი მასწავლებელი მიიზიდოს, მთავრობა უფლებას უკვეცავს მასწავლებლის ჯამაგირის ნორმაზე მეტ გადიდების შესახებ, რადგან აკანონებს, რომ მასწავლებლის ჯამაგირი არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო საშუალო მოხელის ჯამაგირს.

ამგვარად მასწავლებელთა ბედი, არც ისე სახარბიელოა იტალიაში, მიუხედავათ იმისა, რომ მასწავლებლის მომზადება და შრომა სახელმწიფოში, ზედმეტ ღირებულობის შექმნას ძლიერ ხელს უწყობს...

ღირს-შესანიშნავია მთავრობის უკანასკნელი საყოველთაო სწავლის სრულიად დამთავრების შესახებ. ჩვენ დავაკანონეთ ინსტიტუტი, რომლის მიზანია,—სთქვა მინისტრმა,—ყელში სტაცოს და დაახრჩოს სიბნელე. სპეციალურად შექმნილია მასწავლებელთა კადრი, რომელიც დადის სოფლიდან-სოფელში, გადის მინდვრად და ტყეში, გადადის ქოხიდან საჯინიბოში და ყველას, ყოველგან 60 წლამდინაც უსწავლელს—ასწავლის წერა-კითხვას, უკითხავს გაზეთებს, აწვდის ცხოვრებისათვის საჭირო ცნობებს —კვირა-უქმე დღე, საქმე დღეებშიაც ჩვენ ამისათვის ვპოულობთ დროს. მუშაობაც უნაყოფოდ არ რჩება. ხალხი გრძნობს ამ მუშაობის საჭიროებას, ის შეეჩვია სწავლას და შეიძლება უფრო მიტომ, რომ ამის გამო არსებობს ახლად გამოცემული კანონი.

1) წერა-კითხვის უცოდინარ იტალიელს ნება არა აქვს იარაღი ატაროს.

2) ნება არა აქვს ინადიროს.

3) წერა-კითხვის უცოდინარს ნება არა აქვს გახსნას სასმელ-საჭმლის სავაჭროები და სხვა.

4) წერა-კითხვის უცოდინარი მუშა სახელმწიფო სამსახურში არ მიიღება, თუ გინდ უბრალო ქვის მტვრეველათ.

სახალხო დაბალ განათლების სახელმწიფო ბიუჯეტი 450,000,000 ლირას უდრის, აქედან 120.000,000 ლირას ადგილობრივი კომუნები იხდიან. ასეთია მოკლეთ იტალიის სახალხო სკოლების მდგომარეობა.

**ბ. გელა-გელაზანია.**

## ნეკროლოგი.

**შალიკო (კოხტა) გიგინეიშვილის ხსოვნას**

1 ივლისს მეოთხე ქვეითა ათასეულს სამუდამოდ გამოასალმა ვერაგული მტრის ტყვიამ (აჭარელ ბანდებთან ბრძოლაში) სიამაყე ამ ათასეულისა, სამშობლოსათვის თავდადებული, ყველასათვის საყვარელი ამხანაგი ლეიტენანტი შალიკო გიგინეიშვილი.

მან 2 წელი გაატარა გერმანიის ტყვეობაში, საიდანაც დაბრუნდა რევოლიუციის შემდეგ განთავისუფლებულ სამშობლოში. დაბრუნებისთანავე იგი იქნა დანიშნული ქართულ ლაშქარში, 1-ლ ქვეითა რაზმში, ტყვიისმფრქვეველთა გუნდში, სადაც არაერთხელ უჩვენებია მაგალითი ჯარისკაცებისათვის თავისი სიმამაცით ახალ-ქალაქის მაზრაში, სომხებთან ომის დროს, და ფოცხოვის ბრძოებთან შეტაკების დროს 1918—1919 წლებში. ჯარის რეორგანიზაციის შემდეგ, სექტემბერში, იგი იქნა დანიშნული მეოთხე ათასეულში, სადაც დაუღალავათ მუშაობდა ამ ათასეულის შედგენისთანავე, მას ათასეულთან ერთად მოუხდა დგომა გაგრის ფრონტზე 8 თვის განმავლობაში დენიკინის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ათასეულთან ერთად მაისის შუა რიცხვებში გამოგზავნეს აჭარაში, და აქ დაირეკა ზარი მისი უკანასკნელი სიცოცხლისა. მისი მუშაობის და მუყაითობის შედეგი იყო რომ პირველ ივლისს 26 კაცით მან რამდენჯერმე მოიგერია და კიდეც გარეკა მაღლობიდან ათჯერ მეტი ბრბოები, მხოლოდ შემდეგში გაუგო რა მტერმა სიმცირე წამოვიდა იერიშით. მაგრამ შალიკო და მისი რაზმი არ შეშინებულა, ფეხიც არ გადმოუდგამთ უკან. თავისი გმირობით უჩვენა მაგალითი დილიდან საღამომდის ბრძოლაში დაქანცულ ჯარისკაცებს და უკანასკნელათ კიდევ ეკვეთა მტერს, მაგრამ მტერმა სიმრავლით სძლია ჩვენებს და შალიკოც განგმირულ იქნა. ცრემლმორეულმა ჯარისკაცებმა ტყვიის ცეცხლიდან გამოიტანეს თავიანთი საყვარელი უფროსი.

მშვიდობით მეგობარო კოხტა, გწამდეს ძვირფასო, რომ შენი თანამშრომლებიც არ შეაგინებენ შენს უმწიკვლო სახელს და შენი მაგალითით შურის ძიების ცეცხლის გრძნობათ გადაქცეულნი ან მთლად დასწვამენ ჩვენი სათაყვანებელი ქვეყნის დუშმანებს, ან თვით დაიწვიან სამშობლოს სამსხვერპლოზე.

**ანდრო გამრეკელი.**

## ტყვეობიდან დაბრუნებულთა მადლობა

ჩვენ, ქ. კავკავიდან დაბრუნებულნი, შიმშილისაგან დასუსტებული ტყვეები: ოფიცრები, გვარდიელები და სანაპირო რაზმის ჯარის კაცები, რომელნიც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ვიყავით ჩაცვივნულნი ვერაგულად და მოულოდნელად გამოლაშქრებულის მტრის ხელში ივნისის 7, 8 და 9 ა. წ. სოფ. ჯავის რაიონში, უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოუცხადოთ ჩვენი გულითადი და უღრმესი მადლობა ქ. კავკავში მყოფ ქართველობას და ეროვნულ საბჭოს იმ გულწრფელი და დაუღალავი მუშაობისთვის, რომელიც მათ გამოიჩინეს ჩვენს დახმარებაში, სცდილობდნენ ჩვენს განთავისუფლებას ორთავიანი რუსეთის არწივის ბრჭყალებისაგან, რომლის ბრჭყალებშიაც ჩვენ დავყავით სულ ერთ თვემდე. ივნისის 19 ა. წ. მათ, ჩვენმა მხსნელებმა, გაიგეს თუ არა, რომ ჩვენ ქართველი ტყვეები ვიყავით სოფ. არდონში და განვიცდიდით უზომო გაჭირვებას ჯერ ისედაც მგზავრობაში ნატანჯი ხალხი, მაშინვე მიიღეს ზომები და გამოგზავნეს ჩვენს დასახმარებლად საბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც 8 დღის განმავლობაში გვიწევდნენ დახმარებას, ხელს გვიწყობდნენ ისე, როგორც თვის შვილებს. უღრმეს მადლობას ვსწირავთ საქართ. რესპუბლიკის კონსულის დროებით მოადგილეს მღ. ნათაძეს, ეროვნულ საბჭოს წევრებს, ალექსანდრე ავსაჯანოვს, მოქ. ბურდულს, დათიკო ჯავახიშვილს, ზალიკა მჭედლიშვილს, ალექსანდრე მაისურაძეს, მოქ. ფაციაშვილს და მოქ. ლაფაჩს, რომ ჩვენს იქ ტყვეობაში ყოფნის დროს გვეხმარებოდნენ ყოველის გზით და იტანჯებოდნენ ისევე, როგორც ჩვენ ტყვეები, ასე რომ მათ იმ დროს განმავლობაში არ ჰქონდათ არც ოჯახი და არც საკუთარი საქმეები ჩვენს ტყვეობიდან განთავისუფლებამდე სიკვდილამდე დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის მშიერი ტყვეებისათვის და გულითადს მადლობასაც ვუძღვნით აგრედვე საქართველოს დემოკრატიულს რესპუბლიკას, რომ მან თავის მკვიდრ და თავდადებულს შვილებს არ მოგვაკლო ზრუნვა და ნუგეში. გამოგვიგზავნა დარიალის ხეობაში თავის წარმომადგენელი პოლკოვნიკი აქვს. აბესაძე, ლეიტენანტი ქუთათელაძე, რომლებმაც მიგვიღეს შვილებივით, ჩაგვიბარეს მშიერ-ფეხშიშველნი სოფ. ყაზბეგში და მოგვცეს ცხელი საჭმელი, რასაც მოკლებულნი ვიყავით კომუნისტების ხელში თითქმის მთელი ერთი თვის განმავლობაში. დიდი მადლობა ზემოხსენებულ პირთ.

მე პირადად, როგორც ტყვეების ერთ ერთი ხელმძღვანელი იქ, იმ „სოციალისტურ“ საპყრობილეში მყოფი და მათთან ერთად წამებული, არ მაქვს უფლება როგორც მოქალაქეს, არ გამოუცხადო უღრმესი და თავგანწირული მადლობა ზემოთ ჩამოთვლილს დაწესებულებებს და აგრედვე თავდადებულს მოქალაქეებს, ფერშლებს სოფიო კაჩაურს და ცხაკაიას, რომლებიც ჩვენთვის, ტყვეებისთვის თავდადებულად ეწეოდნენ შრომას ჩვენის სამშობლოს და რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

მონდობილობით, ბათალიონის უფროსი **გ. ედიშერაშვილი.**

## სასამართლოში

**შ. მაღლაკელიძის და სხვათა საქმე.**

ივლისის 16.

ვექილების გრ. გიორგაძის და პ. ქავთარაძის შუამდგომლობით სასამართლო ადგენს საქმეში ჩაკერებულ იქნას კიდევ ოთხი ახალი დოკუმენტი. პირველი ორი დოკუმენტი ეხება ბრალდებულ აზნაუროვს და ადასტურებს, რომ იგი მთავრობის მიერ ახალციხეში იყო გაგზავნილი სამშვიდობო მოლაპარაკების საწარმოებლად. მეორე ორი დოკუმენტი ექიმთა კომისიების მოწმობაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩაჩიბაიას ხელი საშიშად აქვს დაზიანებული.

ივლისის 17.

სხდომა ექსპერტების დასკვნის მოსმენით იწყება. დასკვნა ასეთია: 1) ყალბი ანგარიშები დაწერილია ევგენი იუშკევიჩის ხელით და არა ბრალდებულ იუშკევიჩის მიერ. 2) ბრალდებული იუშკევიჩი, როგორც ბუხჰალტერი საგუბერნიო ბათალიონისა, მოვალე იყო, რომ არეული ანგარიშები, საგუბერნიო ბათალიონიდან მოსული ისევ უკან გადაეგზავნა და არა თვითონ შეესწორებინა. 3) მაღლაკელიძეს, როგორც საგუბერნიო კომისარს, უფლება ჰქონდა ხოშტარიასათვის ფული მიეცა ბათალიონისათვის სანოვაგის შესაძენად.

**ბრალდებული აზნაუროვი.** დამცველის გრ. გიორგაძის კითხვაზე ამბობს: ახალციხეში მრავალჯერ მქონია დაკისრებული მთავრობისაგან მისი წარმომადგენლობა. მთავრობის წევრებთან დავდიოდი სხვადასხვა საზოგადო საქმეების გამო. ვიყავი გაგზავნილი პოლიტიკურ მისიითაც.

ამის შემდეგ გრძელდება იმ მოწმეთა ჩვენების გამოქვეყნება, რომელნიც ვერ გამოცხადდენ სასამართლოში.

18 ივლისის სხდომაზე სასამართლომ მოისმინა ბრალმდებელ შ. დადიანის სიტყვა, რომელიც სათითაოდ ეხება ბრალდებულთა მოქმედებას და დამტკიცებულად მიაჩნია ბრალდება ყველას მიმართ, გარდა აზნაუროვისა, რომელიც გახდა მსხვერპლი ახალგაზრდა საქართველოს სასამართლო ორგანოების უნებლიეთ შეცდომისა. 19 და 20 ივლისს სასამართლომ დამცველთა სიტყვები მოისმინა. 21 ივლისს ბრალდებულნი უკანასკნელ სიტყვას ამბობენ. მაღლაკელიძე, იუშკევიჩი და ხოშტარია უდანაშაულოთ სცნობენ თავს და გამართლებას თხოულობენ. ჩაჩიბაია და შენგელაია შეღავათს ითხოვენ.

ხანგრძლივი თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთ გამოაქვთ განაჩენი, რომლითაც მაღლაკელიძეს და აზნაუროვს უდანაშაულოდ სცნობენ. და სრულიად ამართლებენ. დანარჩენთ კი დამნაშავებათ აღიარებენ.

(განაჩენი უკვე იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში).

## ს. დ.-პარტიაში

**დ. გალი.** 13 ივლისს გალში გაიხსნა ს. ს. დ. მ. პ. სამურზაყანოს მაზრის ორგანიზაციათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 15 ორგანიზაციებიდან 50 მანდატი. ყრილობა მოკლე სიტყვით გახსნა სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ივლიანე ჯანჯღავამ. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. აკაკი ფიჩხაია, მდივნათ გიორგი ტორუა. საპატიო თავმჯდომარეთ ყრილობამ ერთხმათ აირჩია ნ. ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი.

თავმჯდომარის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა რევოლიუციონურ პოსტზე გმირულათ დაღუპულ ამხანაგებს კონსტანტინე შარიას, ტერენტი შარტიას, და ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ ორი წლის განმავლობაში ბრძოლის ველზე გმირულათ დაეცნენ.

მომენტზე მოკლე და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა დამფ. კრების წევრმა ამხ. ბ. ძველაიამ. მან გააშუქა ის მთავარი მომენტები, რომლებიც შეუპოვარი ბრძოლით გაიარა საქართველოს დემოკრატიამ ჩვენი პარტიის მეთაურობით და ზედიზედ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვებები.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ყრილობა სრული კმაყოფილია ჩვენი პარტიის პოლიტიკით და მთავრობაში მყოფ ამხანაგების მუშაობით და გადადის მორიგ საკითხზე. ყრილობამ მიანდო პრეზიდიუმს შეიმუშავოს შესაფერი ტექსტი და გაუგზავნოს პარტიის ცენტრს.

სამაზრო კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თ-რე ამხ. ი. ჯანჯღავა. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ამხანაგებს საშინელ ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. უწესობა, უპასუხისმგებლო „პოლიტიკური“ მოღვაწეების პროვოკაცია ყველა მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბანაკიდან ერთის მხრით და მეორეს მხრით ძალების ნაკლებობა და ფინანსიური კრიზისი, მიუხედავათ ამისა დღეს უკვე არის მაზრაში 17 ჩამოყალიბებული ორგანიზაცია 400-ზე მეტი წევრებით. უკანასკნელ ხანებში მოწინააღმდეგეთა გავლენა ეცემა. მყარდება ჩვენი პარტიის გეგემონია.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა დიდი დახმარება გაუწია მაზრის ორგანიზაციას ცეკამ. იყო შეკითხვები და კამათი.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლათ მიიჩნია კომიტეტის მუშაობა და გადავიდა მორიგ საკითხზე.

ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენებები ადგილებიდან და გამოირკვა, რომ ყოველგან მუშაობა გამოცოცხლებულია და მასაში პარტია პოულობს დიდ ნდობას.

ს. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობის მუშაობა გააცნო ამხ. ბ. ძველაიამ.

ერობის მუშაობაზე ამხ. აკაკი ფიჩხაიამ ცნობათ მოახსენა ყრილობას ის ნაბიჯები, რომლებიც ერობამ უკანასკნელ ხანში გადადგა და მოაქვს მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი. გამოირკვა, რომ ერობის გამგეობის ძველი კოალიციონური შემადგენლობა პარტიული ჩხირკედელაობაში ატარებდა დროს, დღეს კი ერობაში კარგი ამხანაგების წყალობით იწყება ახალი ხანა.

სახალხო გვარდიაზე მოხსენება გააკეთა შტაბის თ-რე ამხ. ა. მასხარაშვილმა მოხსენებამ გადაშალა მეტად საიმედო სურათები. არის ორგანიზაციულათ გაწვრთნილი საიმედო გვარდია. გვარდია იბრძვის როგორც ფრონტზე ისე შიგნით წეს-რიგის დასამყარებლათ. მომხსენებელმა ამხანაგების საყურადღებოთ წამოაყენა მრავალი პრაქტიკული საკითხები, ხაზ-გასმით აღინიშნა გვარდიაში კულტურული მუშაობის საჭიროება და სხვ.

რეზოლიუცია: ყრილობამ მოისმინა მოხსენება სახალხო გვარდიაზე,—აღნიშნავს ნაყოფიერებას მის მუშაობაში და საჭიროთ მიაჩნია გაცხოველდეს გვარდიაში კულტურული მუშაობა.

პარტიული მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ძველაიამ, რომელზედაც ყრილობამ აგო მომავალი პარტიული მუშაობის გეგმა.

ერობის გამგეობის წევრის ამხ. გრ. მიქავას მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მაზრიდან გატანილია დიდ-ძალი სიმინდი და მცხოვრებთ კარზე მიადგა შიმშილი. მან ყრილობას გააცნო ზომები, რომლებიც ცხოვრებაში უნდა იქნას გატარებული.

კოოპერატივებში მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჩიქოვანმა. ყრილობა მოუწოდებს ამხანაგებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ კოოპერატიულ მუშაობაში.

შემდეგ არჩეულ იქნა კომიტეტი და სარევიზიო კომისია. კომიტეტში არჩეულ იქნენ ა. ფიჩხაია, ი. ჯანჯღავა, ა. ზუხბაია, ა. მასხარაშვილი, გ. ტორუა, თ. ზუხბაია, მ. ქეცბაია, კანდიდატებათ: ა. ჩიკვატა და გრ. გამისონია.

სარევიზიო კომისიაში: კ. თოფურიძე, ა. ჩეხერია და გრ. მიქავა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყრილობის მუშაობას ეტყობოდა დიდი სიცოცხლე და იმედია ამხანაგები ასეთივე სიცხოველით მოჰკიდებენ ხელს მუშაობას სოფლებშიც.

**კ. ჩ—ნი.**

## მუშათა შორის

(წერილი რედაქციის მიმართ)

რადგანაც ზოგიერთ ჩემს ამხანაგებს ეჭვი ეპარებათ ვითომ მე კომუნისტი ვიყო, ერთხელ და სამუდამოდ ვუცხადებ მათ, რომ ეს ჩემთვის დიდი შეურაცყოფაა, რადგანაც არაფერი საერთო არც მქონია და არც მაქვს მათთან (კომუნისტებთან). თუ იყო შემთხვევა, რომ ვიცავდი მეჭუვეთა პროფესიონალურ კავშირის მოღვაწეობას, ეს, რასაკვირველია, არ არის დასამტკიცებელი საბუთი ჩემი კომუნისტობისა. მე ამით მინდოდა მხოლოდ ის, რომ იდეური ბრძოლით გამოსწორებულიყო კავშირი. ამის დასამოწმებლად საკმაო საბუთები მაქვს და თუკი მოისურვებენ შემიძლია დავუმტკიცო. მხოლოდ რაც შეეხება იმას

ავეჯეულობის და ჭურჭლეულების სავაჭრო
# ი. ა. მაჭარაძის და ვ. ა. წოწონავასი
ქ. ბათომი დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩა № 26
სადაც მოიპოვება ყოველ გვარი ავეჯეულობა: ჭკაფი, კამოდი, ბუფეტი, სტოლი, სკამი, სარკე და ჭურჭლები შუშის, ფარფორის, ფაიანსის, ემალის, ალიუმინის და სხვა. ვყიდულობთ ცოტა ნახმარ ავეჯს და ჭურჭლეებს. (2396—10—2)

რომ მითქმა-მოთქმას აწარმოებენ ჩემს შესახებ და სახელს მიტეხენ საუკეთესო ამხანაგებს შორის, რომელთანაც მე არა მაქვს პირდაპირი კავშირი, ეს არ არის სამართლიანი და ამიტომ ვსთხოვ ასეთ ამხანაგებს თავი მიანებონ ჩემზე მითქმა-მოთქმას და უკეთუ აქვთ დასამტკიცებელი საბუთი ჩემი კომუნისტობისა, გამომყვენ სამედიატორო სასამართლოში და თუ გავმტყუნდი მიუხედავათ იმისა, რომ ძვალსა და რბილში გამჯდარი მაქვს დემოკრატიულ წესწყობილების სიყვარული და მსურს რათა მთელი ჩემი სიცოცხლე შევსწირო მის განმტკიცებას, დავსთმობ ყოველივე ამას და გადავსახლდები საქართველოს რესპუბლიკიდან თანახმად ჩემის რწმენისა, რომ საქართველოში არ უნდა ჰქონოეთ ადგილი მათ, ვინც მას (საქართველოს) სამარეს უთხრის.

ქ. თფილისის მეტყავეთა პროფესიონალურ კავშირის ძველი გამგეობის წევრი **ლადო გაგნიძე.**

---

**თფილისის საქონლის სადგური.** 20 ივლისს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საქართველოს სახაზინო რკინის გზელთა კონფერენციის მოქმედების შესახებ მისმა დელეგატმა ამხ. დ. ჟღენტმა. მომხსენებელი შეეხო ყველა იმ საყურადღებო კითხვებს, რაც გაირჩა რკინის გზის კონფერენციაზე მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელზედაც ამხ. ჟღენტმა შესაფერისი პასუხი გასცა. ილაპარაკა აგრეთვე რკინის გზის რაიონული ქვეკოლექტივიდან ამხ. ა. მახარაძემ. შემდეგ მოხსენებას აკეთებს თფილისის საქ. სადგურის მუშა მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელი კასის თავმჯდომარე ამხ. ფ. ხუროძე, რომელიც აცნობს დამსწრეთ კასის მდგომარეობას. მოხსენებების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურეების შეერთებულმა კრებამ, რომელსაც დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. მოისმინა რა კონფერენციის დელეგატის ამხ. დ. ჟღენტის მოხსენება კონფერენციის მუშაობის შესახებ, იწონებს კონფერენციის მიერ გამოტანილ ყველა რეზოლიუციებს და ფიცსა სდებს საერთო კრება, რომ დაიცავს და გაატარებს ცხოვრებაში ყველა დადგენილებებს. რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

დასასრულ მოხდა კასის სარევიზიო კომისიის არჩევნები. ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ: 1) ფ. ხუროძე, 2) დათიძე, 3) კ. ჟღენტი, 4) გ. ღლონტი, 5) ლ. წითლიძე.

**ს. ქრისტინეშვილი.**

---

**თიანეთი.** 8 ივლისს, საღამოს 7 ს. შესდგა თიანეთის სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ეს. სისაური. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) თიანეთის ერობის მუშა-მოსამს. პროფესიონალურ კავშირის ლეგალურ არსებობის საკითხი, 2) საწევრო გადასახადი, 3) კულტურულ-განათლების კომისიის დაარსება, 4) კავშირის გამგეობის შევსება. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. თავმჯდომარე, რომელიც გამოსთქვამს იმ აზრს, რომ კავშირი, როგორც ასეთი, ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე და მოუწოდებს წევრებს შეხედონ ამ საკითხს მეტად სერიოზულად. კავშირის წევრი ამხ. ზაქარია შარაშიძე, გამოსთქვამს დიდ გულის წყრომას კავშირის უსაფუძვლიანობის გამო და ეხება რა პროფ. კავშირ. მნიშვნელობას და მის დანიშნულებას — ხაზს უსვამს შემდეგ კონკრეტიულ აზრს: „ან საფუძვლიანი არსებობა კავშირისა, ან მისი სრული ლიკვიდაცია“. კრება ერთხმად იზიარებს ამხ. შარაშიძის შეხედულებას და პროფესიონალურ კავშირის საფუძვლიან არსებობისათვის, ღებულობს, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით შეემუშავებულ იქნას წესდება, და მიექცეს ყურადღება კავშირის როგორც მატერიალურ, აგრეთვე იდეიურ მხარეების განმტკიცებას. საწევრო გადასახადის შესახებ ყველა ორატორები გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ პროფესიონალური კავშირის არსებობისთვის აუცილებლად საჭიროა ეკონომიური ძლიერება და ამას ხელი უნდა შეუწყონ თვით წევრებმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: დღიდან კავშირის დაარსებისა პირველ ივლისამდე წევრებს გადახდეს ერთი პროცენტი თვეში თვიური ჯამაგირის მიხედვით: პირველ ივლისიდან კი გაორკეცებულ იქნას ეს გადასახადი. კულტურულ-განათლების კომისიის დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ზაქ. შარაშიძე, რომელიც აღნიშნავს კულტურულ-განმანათლებელ კომისიის პროფესიონალურ კავშირთან არსებობის მნიშვნელობას. კრება ერთხმად იზიარებს ამხ. ზაქ. შარაშიძის მოხსენებას და ადგენს: დაუყონებლივ არჩეულ იქნას კულტურულ-განმანათლებელი კომისია, რომელიც რაც შეიძლება საჩქაროდ უნდა შეუდგეს თავის ფუნქციების შესრულებას. მეხუთე საკითხის შესახებ კრება ადგენს: შევსებულ იქნას გამგეობა—სამი წევრით. გამგეობაში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები: 1) ზაქ. შარაშიძე, 2) ვლად. კორძახია, 3) გრ. გამრეკელი. გამგეობის პირველი სხდომა შესდგა 8 ივლისს. ამ სხდომაზე არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე ზ. შარაშიძე, ამხ. ვ. კორძახია, მდივნად ლ. ეფრემიძე, მოლარედ გრ. გამრეკელი. გამგეობამ ამავე სხდომაზე გადასწყვიტა ამ ახლო მომავალში გამართოს ვრცელ შინაარსიანი საღამო ლექციით და მოაწყოს მოსამსახურეთათვის იაფ-ფასიანი სასადილო.

**მდივანი.**

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

**სწავლა-განათლების საქმე სოჭის ოლქში.** ეხლახან, დავბრუნდი რა სოჭის ოლქიდან, ქართველ საზოგადოების საყურადღებოთ მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა სწავლა-განათლების საქმეზე ქ. სოჭაში და მის ოლქში.

ოლქში ქართველები 16,000 სულს შეადგენენ. სწავლა განათლების საქმე აქ მეტად ცუდათ არის დაყენებული. იქაური ქართველები გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი. მეტი ნაწილი გადმოხვეწილი არიან სამეგრელოდან. ერთი სოფელი—პლასტუნკა კი, ლეჩხუმის მაზრიდან. ოცი—ოცდა ათი წელია რაც გადასახლებული არიან საქართველოდან და ამ ხნის განმავლობაში მოკლებულნი არიან, როგორც სწავლას თავის მშობლიურ ენაზე, ისე არა აქვთ არც სხვა რამ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებები. არის მრავალი მაგალითები, რომ ბავშვებმა ქართული სრულიად არ იციან.

ამ უკანასკნელი ხუთი-ექვსი წლის წინად სწავლა-განათლების საქმეს სოჭაში ცოტა ყურადღება მიექცა. ქ. სოჭაში დაარსდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფილიალური განყოფილება. გაიხსნა ოლქში სამი კერძო მოსამზადებითი სკოლები. ქართველებს გამოცოცხლება დაეტყო. მას შემდეგ კი, რაც საქართველომ თავის დამოუკიდებულობა გამოაცხადა, სოჭის ქართველები მეტათ დაინტერესდენ სწავლა განათლების საკითხით, რადგან დაინახეს, რომ მომავალი ახალგაზრდობის წინ სვლა შეუძლებელია, თუ მან მშობლიური ენა არ იცის და პირველ დაწყებითი აღზრდა არა აქვს მიღებული ქართულ სასწავლებელში.

აი ეხლა კი დადგა სოჭის ოლქის ქართველებისთვის ტრაღედია. მიხვდენ რა კულტურულ დაწესებულებების აუცილებლობას, მათ ამ საქმის მოსაგვარებლათ არ აღმოაჩნდათ ინტელიგენტური და არც სხვა ძალები. ის ორი-სამი კაცი, რომელნიც ოლქში მუშაობდნენ, რასაკვირველია, საქმეს ვერ მოაგვარებდნენ.

საქმე ვერ გამოკეთდა ვერც იმით, რომ სოჭის ოლქს მთელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა განაგებდა. მას მაშინ კერძო ქართველობისთვის არ ეცალა, ის საერთო პოლიტიკას აწარმოებდა. სწავლა-განათლების საქმე ერთი იოტითაც არ წაწეულა წინ.

შემდეგ მოხალისეთა ჯარის დამკაშებმა ის ორიოდე პირიც, რომელთაც რამე საქმის გაკეთება შეეძლოთ, გააძევეს. მე გახლდით მაშინ სოჭის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. კარგათ მახსოვს რეაქციის სუსხიანი დღეები. ოთხი თვე-ნახევრის ტყვეობის შემდეგ ამოკრძალეს რა სოჭის ოლქში ცხოვრება— გამაძევეს საქართველოში.

ეხლა საქმე შემდეგშია: სოჭის ოლქში საჭირო არის ეხლავე სამი მასწავლებელი: ერთი ქ. სოჭაში, მეორე—ქ. ადლერში და მესამე—სოფ. პლასტუნკაში.

საბჭოთა რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებმა გვიცხადეს: სწავლა-განათლების საქმეს თქვენ თითონ ჩაუდექით სათავეში. მათი კონსტიტუციის ძალით აღზრდა მშობლიურ ენაზე უნდა სწარმოებდეს. ქ. სოჭაში ქართველობის ქალაქის თვითმართველობამ, ეს კიდევ დროებითი მთავრობის დროს მოხდა, მისცა სკოლის ასაგებათ საჭირო მიწა 2 დესეტინა იმ პირობით, რომ სამი წლის განმავლობაში სკოლის შენობა უნდა აგებულიყო.

ჩვენ შევაგროვეთ ცოტაოდენი ფული, მაგრამ მთავრობის დაუხმარებლათ ჩვენ სკოლის აშენება არ შეგვეძლება. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ნოე ცინცაძის დაპირებისამებრ სოჭის ქართველობას იმედი აქვთ საჭირო და შესაძლებელ დახმარებას აღმოგვიჩენენ.

რადგან სოჭის ოლქი საქართველოს რესპუბლიკის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვფიქრობ, რომ სოჭის ოლქის მცხოვრებლებთა იმედები, გამართლდება. **მიხაკო ხოფერია.**

---

**შუხუთის თემი.** (ოზურ. მაზ.) ეს თემი თითქმის სამაგალითოა მთელ გურიაში, კულტურული და პოლიტიკური მუშაობა რევოლიუციის დღიდან ნ არ შენელებულა. დროგამოშვებით ხდება კრებები, კეთდება მომენტზე მოხსენებები.

ქურდ-ბაცაკობას თანდათან ბოლო ელება. დეზერტირების რიცხვი ჩვენში ძალიან მცირეა, თუმცა შესაძლებელი იყო არცერთი დეზერტირი არ ყოფილიყო—მილიციის უფროსი ბატ. მ. ფ. რომ თავის დანიშნულების სიმაღლეზე მდგარიყო.

არსებობს წიგნთ საცავ სამკითხველო, სადაც ყველა ჟურნალ-გაზეთები მოდის. ხარჯის გაღება ადგილობრივ კოოპერატივს აქვს ნაკისრი. კოოპერატივიც სასურველ სიმაღლეზეა დაყენებული. თემს აქვს გახსნილი სავაჭრო, სადაც დაკლებულ ფასებში იყიდება საქონელი, რაც ხელს უშლის კერძო ვაჭრების სპეკულიაციას. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ სკოლის საქმე ვერ არის მოწესრიგებული. სკოლის შენობის უქონლობაც აბრკოლებს სწავლა-განათლების საქმეს. ოც წელზე მეტია, რაც აქ არის დაწყებული სკოლისათვის დიდი ქვის შენობა, მაგრამ ეს შენობა დღესაც არ არის დამთავრებული. მიუხედავათ ეკონომიურად კრიტიკულ მდგომარეობისა, თემმა გადასწყვიტა შეძლომოდა ამ დიდ შენობის დამთავრება. შეგროვილია საგრძნობი თანხა, მაგრამ თუ მთავრობამ არ აღმოგვიჩინა დახმარება, ისე პატარა სოფელს არ შეეძლება ამ საქმის დამთავრება. თემის გამგეობის მეცადინეობით გაიხსნა აქ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, ტელეფონის ქსელიც გაყვანილია. არსებობს სახალხო სახლის აშენების კომიტეტი, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული სახლის აშენება. ჩვენს თემში დრო-გამოშვებით იმართება წარმოდგენები საქველმოქმედო მიზნით; ხალხი ბლომათ ესწრება. გორში მომხდარ უბედურებას მცხოვრებნი დიდი თანაგრძნობით შეხვდენ. დაუყონებლივ დაარსდა „გორის დამხმარე“ კომიტეტი, რომელმაც შეკრიბა თემში 48,685 მან. და გადასცა ოზურ. მაზ. გორის ფონ. კომიტეტს დაზარალებულ გორელებისათვის.

დიდი იმედით შეჰყურებდა სოფელი ამ წელიწადში აბრეშუმს, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენს მხარეზედ სამესამედოთ არ კეთებულა. ამას ზედ დაერთო სიმინდის გაძვირება. წელს ჩვენი სოფლიდან აუარებელი სიმინდი იქნა გაზიდული სხვადასხვა კუთხეებში ფუთი 100—300 მანეთამდე ფასით. ამ ბოლო ხანს აღმოჩნდა, რომ ადგილობრივადაც ბევრს თავისთვის აკლია სიმინდი და ვისაც მოეპოვება გასაყიდი 1000—1100 მან. ახდევინებს თავის გაჭირვებულ მეზობლებს. იმედია მხოლოდ მოსავლის: ამ წელს ჩვენ თემში მიწა არ დარჩენილა მოუხნავი. ჯერჯერობით სიმინდის მოსავლის კარგი ნიშნებია. კარგი პირი უჩანს აგრეთვე ყურძნის მოსავალსაც.

**ნამსახური.**

---

**ჭიათურა.** 17 ივლისს ჭიათურას ეწვია ამხ. აკაკი ჩხენკელი. სადგურზე მრავალი ხალხი შეეგება მას. დარბაზი, სადაც მოხსენება უნდა გაეკეთებია ამხ. ჩხენკელს, ორი საათით ადრე იყო გაჭედილი ხალხით და ყველა მოუთმენლად ელოდა მომხსენებელს. გამოჩნდა თუ არა აკაკი, ხალხი „ვაშას“ ძახილით და „გაუმარჯოს“ „ჩხენკელსაო“ შეხვდა.

დაიწყო მოხსენება. ხალხი სულგანაბული უსმენდა და ამ სიჩუმეს მხოლოდ მარტო ტაშის ცემა არღვევდა. მომხსენებელმა ნათლად დაუხატა ხალხს, თუ რა მდგომარეობა არის რუსეთში, ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. ის ვრცლათ შეეხო ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. მან აშკარათ დაანახვა დამსწრე საზოგადოებას, რომ რუსეთში ბოლშევიკური მთავრობის მესვეურობით ხდება—რღვევა-ნგრევა და ამ რღვევა-ნგრევამ ამიერ კავკასიის ერთ ნაწილშიაც იჩინა თავი, სახელდობრ აზერბეიჯანში, მის შემდეგ, რაც ამ „დამოუკიდებელ სახელმწიფოში“ ბოლშევიკების დიქტატურა გამეფდა. საქართველოსაც ეს მოელის, თუ მუშათა კლასი უარ ყოფს იმ პოლიტიკას, რომელ პოლიტიკასაც ის აწარმოებს საქართველოში და მიემხრობა ბოლშევიკების ველურ და გამანადგურებელ პოლიტიკას. მაგრამ, მომხსენებლის აზრით, ქართველი ხალხი ვერ მიემხრობა ბოლშევიკურ პოლიტიკას, რადგან ეს პოლიტიკა არის აზიური, და ქართველმა ხალხმა კი გზა გაიკაფა დასავლეთ ევროპისაკენ იქაურ დემოკრატიასთან დასაახლოვებლად, რადგან ქართველი დემოკრატიის პოლიტიკა სავსებით ეთანხმება დასავლეთ ევროპის დემოკრატიის პოლიტიკას და, მაშასადამე, ქართველი დემოკრატია, როგორც დასავლეთ ევროპის დემოკრატიის პოლიტიკის მატარებელი, ყოველთვის ზურგს შეაქცევს ბოლშევიკების გამანადგურებელ პოლიტიკას. შეიძლება მკითხველმა იკითხოს, თუ სად იყვნენ იმ დროს ბოლშევიკები, როდესაც ამხანაგი ჩხენკელი მათ პოლიტიკას ქარცეცხლში ატარებდა? იქვე დარბაზშიაც ბევრი მათგანი იჯდა,—მაგრამ არც შეეძლოთ და ვერც შესძლებდნენ გამოსვლას იმიტომ, რომ მათ რომ თავისი ცოდვები დამსწრე ხალხის წინ ელიარებიათ, ეს ხომ მათი ყელის გამოჭრა იქნებოდა და დამარხვა. მხოლოთ სოროებიდან აძლევდნენ წერილობითი შეკითხვას, რომელზედაც მომხსენებელი შესაფერ პასუხს აძლევდა. დასასრულ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საქართველოს დემოკრატიამ მუშათა კლასის მეთაურობით თავიდანვე გამოაცხადა თავისი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ. ის მტკიცეთ ადგია ამ გზას დღესაც, არ გადაუხვევს მას შემდეგშიაც. გარდა ამისა, საქართველოს მუშათა კლასი ადგია გზას დემოკრატიზმის საშუალებით სოციალიზმის განხორციელებისას. ამ გზამ მას არა ერთი და ორი გამარჯვება არგუნა ბრძოლის პროცესში, რაც აღებული გეზის სისწორეს გვაჩვენებს. საქართველოს მუშათა კლასი მთელ საქართველოს დემოკრატიასთან ერთად დღესაც, ამ საბედისწერო მომენტის დროს, ერთხელ კიდევ აღიარებს ამ გზის სისწორეს და საჯაროთ აცხადებს, რომ ივლის ამ ნაცადი, სწორი გზით, რადგან მას სწამს, რომ ის გზა ნაკლების მსხვერპლით და მტკივნეულობით შეიყვანს მას სოციალიზმის სამეფოში. **თეოფილე კალანდაძე.**

# ა ნ გ ა რ ი შ ი

ს. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონული კოლექტივისა და ვერის მუშათა კლუბის მიერ შაბათს, 17 ივლისს 1920 წ. ქართულ კლუბში გამართულ სეირნობისა,

შემოსავალი: 1) ყვავილები და პროგრამები—3019 მან., 2) პატარა ბუფეტი—9270 მან., 3) ლატარია-ალეგრი—41358 მან., 4) აუქციონი და სხვა შემოსავალი—94300 მან., 5) ბუფეტიდან—43000 მან., 6) თეატრის ბილეთებიდან—32280 მან., 7) ლოტოს %%—5589 მან., 8) შესასვლელი 6870 მან. 9) მოსამსახურეთაგან %% 5000 მან., 10) დარჩენილ ნივთების გაყიდვიდან—980 მან., სულ 241764 მან.

გასავალი; 1) ქართული დრამა—16532 მან., 2) რუსული—8000 მან., 3) აფიშა, მეერნავი პროგრამა და გავრცელება—4170 მან., 4) ბუფეტი და სხვა ხარჯები—11010 მან., 5) გაზეთებში გამოცხადება—920 მან. სულ 40632 მან. შემოსავალი (241674) გამოვაკლოთ გასავალი (30632) დარჩა წმინდათ 201042 მან.

აქვეყნებს რა ანგარიშს ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონული კოლექტივი და ვერის მუშათა კლუბის გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმ პირთ, რომელთაც შეწირულებით, თუ პირადი შრომით აღმოუჩინეს ზემოთ მოხსენებულ ორგანიზაციებს დახმარება სეირნობის მოწყობაზე და განსაკუთრებით კი შემდეგ პირთ: ქ-ნნ ნ. ჩხეიძეს, ი. გაბაშვილისას, ო. გომართელისას, მ. ჩხენკელისას, ო. ოვანესიანისას. ბ.ბ. ვლ. ალექსი-მესხიშვილს და ქართველ მსახიობთ, ნ. ა. დიმოვს, ნ. წერეთლის და ქართული კლუბის მამასახლისთა საბჭოს, საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირს, ოფიცერთა კოოპერატივს, კოოპერატივ „დახმარებას“, დ. ქებაძეს, დ. სარაჯიშვილს, მ. ლადოძეს, ბ. არჯევანიძეს, ბ. ფარსადანოვს, ტერტეროვს, ნ. ჩიტოშვილს და სხვებს.

სეირნობის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე **გ. უსეინაშვილი.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


## განცხადებანი

მოითხოვეთ ფრანგული კრემი სხვადასხვა ფერის ფეხსაცმელისათვის
,,NOBLESSE“
რომელიც ინახავს ფეხსაცმელს გაფუჭებისაგან და აძლევს საუცხოვო ფერს და ბრწყინვალებას. იყიდება თფილისის, ბათომის, ქუთაისის, ფოთის და ერევნის საუკეთესო მაღაზიებში. (2434—2—1)

## დაიკარგა
12 წლის გოგო, სახელათ სათენიკა შავგრემანი, გამხდარი სახისა, ტანზე აცვია მატყლის მოქსოვილი პალტო მოთეთრო, თავზე ახურავს ლურჯი ქუდი, ფეხებზე წითელი სანდალები. თუ ვინმემ იცის ან ნახოს სადმე, ვთხოვთ გვაცნობოს ტრამვაის პარკში ბაღდასარ მურადიანცს. (2437—1—1)

## გაკურიანში მათემატიკოსი
გიმნაზიის მასწავლებელი იძლევა გაკვეთილებს მათემატიკაში,
სახლი **ლექსო მიქაბერიძისა.** (2—2)

## იყიდება
საჩქაროდ სხვაგან წასვლისა გამო ახალი მეწველი ძროხა, მისამართი: ვოგზალთან ახლოს ანდრეევის ქუჩა № 74 ბინა 3. მეორე სართული, ხატიაშვილი. (2422—2—1)

**ყ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე მათემატიკის**
## მასწავლებელი
**ი. მ. მაჩაიძე** იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

21 ივლისს სახლიდან წავიდა გაჯავრებული
## ნინო ილიკოს ასული სურმავასი
დაბალი ტანისაა, თუ ვინმემ რამე იცის ან გაიგოს, ვსთხოვ მაცნობოს დ. კოჯორში, დიმიტრი ესეს ძე სურმავას. (2426—1—1)

## ი ყ ი დ ე ბ ა
## საკერავი მანქანა-შკაფი
**ზინგერის სისტემისა.**
პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

**ე ქ ი მ ი**
## ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

**დ ო ქ ტ ო რ ი**
## გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

**ე ქ ი მ ი**
## პ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი ზედები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღას ქ. № 33. (1288 25—4)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838 —თ.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო. (2383—თ.)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო გეითალი—ექიმი**
## ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) სავს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

**ე ქ ი მ ი**
**ქნერის ისაიას ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
ლებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

**ე ქ ი მ ი**
## გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

**ე ქ ი მ ი**
**ხოლდომიდ ისაიას ძე ვოლოხი**
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5 ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

**ე ქ ი მ ი**
## ნ. მ. გაჩეჩილაძე
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25 ჰ)

## სახლი მამული, სავაჭრო დაწესებულება
ვისაც სურს სწრაფათ იყიდოს ან გაყიდოს მიმართოს ინტელიგენტთა ჯგუფს დავითის ქ. 3 ბინა 2. რუსთაველის კუთხე. (2436—1—1)

## გავრცელებულია ხმები
ვითომ ცემში საგარაკო სახლები არ იშოვებოდეს რაც სინამდვილეს მოკლებულია, მესამედი სახლებისა თითქმის გაუქირავებელია და ფასებიც ხელ-საყრელია.
ი. ტაბატაძე. (კუპ. 654—1—1)

## „თფილისის კოოპერატივი“
წევრთა საზოგადო კრებამ, რომელიც შესდგა ამა წლის 20 ივნისს დაადგინა,— რომ საპაიო გადასახადი განსაზღვროს
## 200 მან. ნაწილ-ნაწილად
გადახდის უფლებით. გამგეობა სთხოვს საზოგადოების წევრებს დააჩქარონ ამ ახალი პაის შემოტანა. (2407—1—1)

## ა. წ. 26 ივლისიდან სასაკლაოს ქარხანაში დაიწყება ყინულის დამზადება
ყინულის მიღების მსურველს ვსთხოვთ შემოიტანოს განცხადება ამა თვის 25-დე: ან სასაკლაოს კანტორაში (ნავთლუღი) ან ქალაქის თვითმართველობის 3-ე განყოფილების კანცელარიაში, სადაც შეიძლება პირობების გაგებაც.
ქალაქის **სასაკლაო.** (2423—3—1

## ი ყ ი დ ე ბ ა
## მოძრავი კინემატოგრაფი
ადვილი გადასატანი ადგილიდან ადგილზე, სრული მოწყობილობით (მოტორი, დინამო, აპარატი და სხვა) ერთათ ან ნაწილ-ნაწილათ **ხელსაყრელ ფასებში.** ადრესი კადეტის შესახვევი № 9. (2431—3—1)

## ი ყ ი დ ე ბ ა
ერთი უჩასტკა მიწა კახეთის ქ. (ნავთლუღში, სადაც ტრამვაი უხვევს სამხედრო გოსპიტლისაკენ) პირობების გაგება შეიძლება ვ. მ. მეგრელიშვილთან ევროპიულ-კავკასიის ბანკში (რუსთაველის და ბარიატინსკის ქუჩების კუთხე) დილის 10—3 ს. (2432—3—1)

## თფილისის მაზრის ერობა
აცხადებს, რომ 30 ივლისს 1 საათზე (რუსთაველის პრ. 6) დანიშნულია
## საჯარო ვაჭრობა
ალბულახის გზის ხიდეების სამუშაოების იჯარით გასაცემათ. საწინდარი უნდა შემოიტანოს ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა 15000 მან. სამუშაოები შეფასებულია—180000 მანეთად. (2435—2—1)

## შემთხვევით იყიდება
**უმილო სისტემის გრამოფონი 93 ფირფიტებით (პლასტინკები)**
22 ც. პატეფონის ფირფიტა 22 ც. ქართული (გურული სიმღერები და სცენები) ფირფიტა 49 ც. რუსული ფირფიტები საუკეთესო და იშვიათნი, 2 ბუმრამით ერთი გრამაფონის და მეორე პატეფონის, 4 კოლოფი ნემსებით. საერთო ფასი— 12,000 მან. გოგოლის ქ. № 59 ბინა 8. გაშინჯვა შეიძლება ნაშუადღევს 3—7 საათამდე. (2420—2—2)


საკუთარი სტამბა, ფრთხის ქუჩა № 7